# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 12 ივნისი, 2007 წელი.

№ 109 (5710)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ასეთი პოლიტიკით ვერც ერთი ხელისუფლება ვერ აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას

2



## ოქრუაშვილი არ გვაფინანსებს.



3

## არც კი ვიცი, ვის დასჭირდა ამ სიცრუის მოგონება

## უკვე საავტორო უფლებებიც იყიდება!

ის აზერბაიჯანელი აუცილებლად მომცემდა ფულს, მაგრამ ხომ მოგვეჭრებოდა თავი ქართველებს!

7

დანაშაული და სასჯელი

## 8 ბავშვი მოკლეს, 8 კი — ციხეში ჩასვეს!



7

ხალხო, რად ვიტყუებთ თავს? ნუთუ ვერ ვხვდებით, რომ სახელმწიფო ქონების გასხვისებით, საქართველო — ჩვენი სამშობლო, ფაქტობრივად, ვილაცის“ ან „ვილაცეების“ საკუთრებაში გადადის?..

4

## შეუსრულებელი ვალდებულება და ქართველობის გამო ნაცემი ბავშვები...

3

რა დღეშიც ვართ

დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, სიკვდილის ხელშემწყობი ფაქტორების ერთი ნახევარი ცხოვრების წესსა და ქცევებზე მოდის, ხოლო მეორე ნახევარი — გარემოზე, გენეტიკასა და ჯანდაცვის სისტემაზე

6



● სანქტ-პეტერბურგში სააკაშვილ-პუტინის შეხვედრა რომ უკეთესობისკენ ძირეულად ძნელად შეცვლიდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას, ანუ გარდატეხას ვერ შეიტანდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, ექსპერტები დარწმუნებულნი იყვნენ

№ 109. სამშაბათი, 12 ივნისი, 2007 წელი.

◎ აქტუალური თემა

# შერიგების პროცესი დაიწყო, თუ ეს იყო შეხვედრა შეხვედრისათვის?

მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრას საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია დადებითად აფასებს, თუმცა, მოსალოდნელი შედეგის თვალსაზრისით, უმრავლესობა უფრო იმედიანად არის განწყობილი. მათი ვარაუდით, პუტინის განცხადება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ, მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, უმრავლესობის ნაწილი არ გამორიცხავს, რომ ამ შეხვედრის შემდეგ კონფლიქტურ რეგიონებში, კერძოდ, ცხინვალში შესაძლოა, წინსვლა აღინიშნოს.



ჩრდილოელი მეზობლის გზავნილი, რუსეთი არ აპირებს საზღვრების გადახედვას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ეჭვქვეშ დაყენებასო, პარლამენტში ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ამასთან, იმასაც აღნიშნავენ, რომ რუსეთის პრეზიდენტის მსგავსი განცხადებები მრავალჯერ მოუსმენიათ...

„თუ რუსეთი იზიარებს ჩვენს შეშფოთებას კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენების გამო, ეს მისასალმებელია. თუმცა, თუ რუსეთი მართლაც აპირებს, დაგვეხმაროს და გადადგას ნაბიჯები სიტუაციის ნორმალიზებისთვის, ეს ახლო მომავალში გამოჩნდება“, — აცხადებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

კონკრეტულ ნაბიჯებს არ ელის ოპოზიცია. ახალი მემარჯვენეები აღნიშნავენ, რომ, მართალია, დიალოგის რეჟიმი კონფრონტაციას და დაპირისპირებას ყოველთვის ჯობს, მაგრამ პრეზიდენტების ამ ერთ შეხვედრაზე მაღალი ფსონის ჩასვლას ისინი მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ.

„დემოკრატიული ფრონტის“ წევრები კი დარწმუნებული არიან, რომ ორი პრეზიდენტის შეხვედრა იყო მხოლოდ შეხვედრა შეხვედრისათვის და მას კონკრეტული შეთანხმება არ მოჰყოლია.

„სავარაუდოდ, კონკრეტული შეთანხმება არ ყოფილა, იმიტომ, რომ ამის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ არის რუსულ საიტებზე. ამით სპეციალურად დავინტერესდი. იყო, უბრალოდ, შეხვედრა შეხვედრისთვის, რათა დაგვეფიქსირებინა, რომ არც ისე ცუდად არის საქმე, როგორც ვილაცას შეიძლება ეგონოს“, — მიაჩნია „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარეს დავით ზურაბიშვილს.

დეპუტატების გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ შეხვედრის დროს ვლადიმერ პუტინი რატომღაც თბილისში დენის გათიშვის საკითხს შეეხო. მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტისგან ამის ხაზგასმა გიგა ბოკერიამ შეუფერებლად და არაადეკვატურად მიიჩნია.

ასეა თუ ისე, შერიგების პროცესი დაიწყო. უმრავლესობა და ოპოზიცია თანხმდება იმაზე, რომ ეს პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

**მზია გელენავა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მიხეილ სააკაშვილი: რუსეთმა იკისრა საქართველოს მიმართ შემოღებულ შეზღუდვათა ეტაპობრივი მოხსნა

ასეთი განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა 10 ივნისს სანქტ-პეტერბურგში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს. მან ასევე გამოთქვა იმედი, რომ რუსეთის მხარე „შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას“. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს რუსეთთან დიალოგის გაგრძელებას. „ყოველთვის ვაცხადებდი, რომ ჩვენ დიალოგის მომხრე ვართ“, — თქვა სააკაშვილმა.

შეგახსენებთ, 9 ივნისს გამართული შეხვედრის დროს პუტინმა საქართველოს პრეზიდენტს განუცხადა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობის სფეროში არსებული შეზღუდვები მოიხსნება მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება გარკვეული პროგრესი ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

ცნობილია, რომ რუსეთმა 2006 წელს შეწყვიტა საქართველოსთან პირდაპირი სატრანსპორტო მიმოსვლა და საფოსტო ურთიერთობა. 2007 წლის მაისის დამლევიდან მოსკოვმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების გაცემის საქმეში არსებული შეზღუდვების შერბილების შესახებ. რუსეთის ფედერაციის საკონსულო განყოფილებამ ნაწილობრივ განაახლა საქართველოს იმ მოქალაქეთათვის ვიზების გაფორმება, რომლებიც ხვდებიან გარკვეულ კატეგორიაში. თუმცა, რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში აღნიშნეს, რომ საქართველოს მოქალაქეთათვის რუსეთის ვიზების გაცემა არ გულისხმობს ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენას.

**REGNUM**

◎ კომპეტენტური აზრი

# ასეთი პოლიტიკით ვერც ერთი ხელისუფლება ვერ აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას

**სანქტ-პეტერბურგში სააკაშვილ-პუტინის შეხვედრა რომ უკეთესობისკენ ძირეულად ძნელად შეცვლიდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას, ანუ გარდატეხას ვერ შეიტანდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, ექსპერტები დარწმუნებულნი იყვნენ. თუმცა, საქართველოსა და რუსეთის ოფიციალურ პირთა შეხვედრისწინა შერბილებულმა განცხადებებმა ვითარების მეტ-ნაკლებად გაუმჯობესების იმედი მაინც ჩასახა.**

**შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მოსკოვის ცნობილი განცხადებების შემდეგ, თავისთავად ფასეულია, როცა რუსეთი კვლავ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების გადახედვას არ აპირებს. დაურთო, რომ საქართველოს ხელისუფლება არანაირ ვითარებაში არ აპირებს თუნდაც ერთი ციდა ქართული მიწის დათმობას.**

**პუტინის პრესმდივნის თქმითაც, პრეზიდენტების შეხვედრა პოზიტიური და გულახდილი იყო. პრეზიდენტებმა თავის საგარეო საქმეთა სამინისტროებს დაავალეს, ერთობლივად ემუშავათ ორმხრივი ურთიერთობის სტაბილურობისთვის საჭირო საკითხებზე...**

**რეალურად რა დგას ამ რევერანსების მიღმა? სახელდობრ როგორი პოლიტიკა უნდა აწარმოოს საქართველოს ხელისუფლებამ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად? ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი ჯიმი ჯალიაშვილი.**

— მსოფლიო გამოცდილებამ ორი რამ იცის. პირველი: სახელმწიფოთა მჭიდრო, მეგობრულ ურთიერთობაში მთავარი გეოპოლიტიკური ფაქტორია. თუ იდენტური ხარ მასთან, მაშინ ბევრი პრობლემა იხსნება და მეორე — ფასეულობებითი ურთიერთობები და ამის საფუძველზე ინტერესების დამთხვევა. ანუ, სახელმწიფოთა ინტერესები მაქსიმალურად კმაყოფილდება. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობა მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფომ გაითვალისწინოს პოლიტიკური მდგომარეობით, ამის სრული შესაძლებლობა აქვს. მაგრამ თავისი გეოპოლიტიკური სტრატეგიით იგი მთლიანად ეწინააღმდეგება ვითარებას.

**— რაციონალურ პოლიტიკაში რას გულისხმობთ?**

— რეგიონში, უპირველესად, უნდა მოიძებნოს ისეთი პოლიტიკური სვლები, რაც იქ ყველა ქვეყნისთვის საერთო უსაფრთხოების სისტემას შექმნის. ამ ინტერესთა ბალანსი ხუთივე ქვეყნისთვის სრულყოფილი უნდა იყოს და მერელა ვილაპარაკოთ საერთაშორისო ურთიერთობებსა და ფასეულობებზე. ამიტომ იმედი, რომ დახმარებას საიდანღაც შორიდან მივიღებთ, ნაკლებად დამაჯერებელია. რაციონალური პოლიტიკა ინტერესთა თავსებადობას ნიშნავს.

**ჩეჩნეთის პრეზიდენტმა თქვა. იმ პოზიციას დავიკავებ, რომელ პოზიციაზეც იქნება ის სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც ვარო**

**— რუსეთს სიტყვით ბევრჯერ უღიარებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ საქმით სწორედ ამის საწინააღმდეგოდ იქცეოდა. ახლა მაინც თუ არის რაიმე შანსი, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთი იყოს?**

— ეს ყველაფერი არახალია, ძველია. რუსეთი მანამდეც აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს. იგი, ფაქტობრივად, გაეროს შეფასებას ეთანხმებოდა. ასეთი სტანდარტი მუშაობს. ამას კი დიპლომატიური ეთიკა ჰქვია. მაგრამ ამის მიღმა რა დგას, რამდენად შეესატყვისება სიტყვიერი განცხადებები რეალობას, რა პროცესები მიმდინარეობს, სულ სხვა საკითხია. სამწუხაროდ, ვერც ერთ სადავო საკითხში კონკრეტულად წინგადადგმული ნაბიჯი ვერ დავინახე. ისიც, რომ პუტინმა საუბრის დასაწყისშივე აღნიშნა, ინფორმაცია მაქვს, თბილისში ელექტროენერგია ჭირსო, ზემოთქმულ განწყობას მიძლიერებს.

**— კოკოითისა და ბაღაფშის მოსკოვურ პრესკონფერენციაზე, სანქტ-პეტერბურგის სამიტს რომ უძღოდა წინ, ბაღაფში დაგვემუქრა, ენგურჰესი ჩემს ხელშია, სულაც გავუთიშავ ელექტროენერგიას თბილისსო. პუტინის ზემოთ ნახსენები „ინფორმაცია“ ამ მუქარის გამოხმაურებაა?**

— არა მგონია. ჩვეული მუქარის ტონია. ბაღაფშისთვის ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ძალზე მძიმე იქნება, რადგანაც იცის, რომ საპასუხო ადეკვატური რეაგირება მოჰყვება. ასეთ პროვოკაციაზე ის არ წავა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით კი ერთი რამ შეიძლება ითქვას: ეს თემა გაცილებით აქტუალური გახდა რუსული მასმედიისთვის. ცდილობენ, ახსნან, რამდენად შეუწყობს ხელს ჩვენი ხელისუფლების სათანადო ქმედებები პრობლემის გადაჭრას. ამ აქტიურობის შედეგი კი სხვაგვარია, ვიდრე გვინდოდა.

**— მაშ, როგორ უნდა იმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ ტერიტორიული მთლიანობაც აღადგინოს და ვითარებაც უკიდურესად არ დაძაბოს?**

— ცოტა უფრო რაციონალური. საქართველოს, რეგიონალურურთიერთინტერესები. რადგან ეს ძირეული ურთიერთინტერესები ჩვენთან წინააღმდეგობაშია გეოპოლიტიკურ განზომილებებთანაც და ფასეულობებთანაც, პრობლემა გადაუჭრელი რჩება. ამიტომ, რაკი ქვეყნებს შორის ურთიერთობები ზემოაღნიშნული ფაქტორებით განისაზღვრება, ამის თაობაზე ხმამაღლა უნდა ითქვას. სხვაგვარი დიპლომატიური თამაშები ხეირს არ დაგვაყრის. არ შეიძლება, რომ აქ მდებარე სახელმწიფო სხვა გეოპოლიტიკურ სივრცეში მდებარე, არაბუნებრივი მოკავშირის ფაქტობრივი სატელიტი იყოს.

**— სახელდობრ, როგორი უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკა?**

**— ე. ი. გვინდა-არ გვინდა, მაინც რუსეთთან უნდა გამოვნახოთ საერთო ენა?**

— რა თქმა უნდა. კატეგორიულად ვაცხადებ, სხვაგვარი პოლიტიკით ვერც ერთი ხელისუფლება ვერ აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას.

**— ე. წ. დროებითი ადმინისტრაციული ერთეულიც ერთგვარი თამაშია?**

— დიახ, თამაში, რომელიც უფრო ძაბავს ვითარებას. საერთოდ კი, ყველაფერ ამაზე მოკლედ თქვა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა: „მე დავიკავებ იმ პოზიციას, რომელზეც ის სახელმწიფო იქნება, რომლის შემადგენლობაშიც ვარ...“

**ესაუბრა**
**კონსტანტინე გურგენიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყანა

● საკვირველია, რომ ბიუჯეტი 7-ჯერ გაიზარდა, ქართველებს კი საარსებო მინიმუმი ენატრებათ. ამგვარი მინიმუმის არარსებობის პირობებში ადამიანი დასაღუპავადაა განწირული. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს ყიდის სინდისის გარდა. სინდისი არა აქვთ, თორემ იმასაც გაასხვისებდნენ




◎ დამფუძნებელი ყრილობა

## მთავარი მიზანი – ქვეყანაში ხალხის მმართველობის დამყარება

### ოქრუაშვილი არ გვაფინანსებს. არც კი ვიცი, ვის დასჭირდა ამ სიცრუის მოგონება, – თქვა კ. დავითაშვილმა

*საქართველოში რეგისტრირებულ პარტიათა რიცხვს კიდევ ერთი – „ხალხის პარტია" შეემატა. ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას ყველასათვის ცნობილი პოლიტიკოსი კობა დავითაშვილი ხელმძღვანელობს.*

*პარასკევს, პროფკავშირების კულტურის ცენტრის დიდ დარბაზში სწორედ ამ პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა. ყრილობამ დაამტკიცა „ხალხის პარტიის" წესდება, ორგანიზაციის თავმჯდომარედ კი ბატონი კობა დავითაშვილი აირჩია.*

*მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს „ხალხის პარტიის" ძირითადი მიზნები. წესდებაში ამის შესახებ გარკვევით წერია:*

1. ერთიანი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, პატრიოტიზმის, ეროვნული მსოფლმხედველობისა და იდეალების დამკვიდრება;

2. დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება და განვითარება სახელმწიფო მმართველობაში, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულების თვითმმართველობა;

3. კერძო საკუთრების დაცვა, სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის კერძო ავტონომია, სიტყვის თავისუფლება;

4. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;

5. სიღარიბის დაძლევა, ღარიბესი ფენებისათვის სოციალური პროგრამების განხორციელება;

6. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ინტეგრაცია საერთაშორისო სტრუქტურებში...

იმისთვის, რომ უფრო ნათლად გაერკვეთ „ხალხის პარტიის" სამომავლო გეგმებსა და ამოცანებში, გთავაზობთ ამონარიდს კობა დავითაშვილის სიტყვიდან:

„ჩვენი პარტიის მთავარი მიზანი ქვეყანაში ხალხის მმართველობის დამყარებაა. მიგვაჩნია, რომ თითოეული მოქალაქის ჩართვა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში, ძლიერი სახელმწიფოსკენ მიმავალი ერთადერთი გზაა...

მ. სააკაშვილი ლამაზი თვალებისთვის არავის აურჩევია პრეზიდენტად. დადგა დრო, მან ქართველ ხალხს შეუსრულოს ყველა დანაპირები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხმა პასუხი უნდა მოსთხოვოს მას და მის გუნდს სიცრუისათვის, საკუთარი ხალხის აბუჩად აგდებისათვის. თუ არ შეუძლიათ ქვეყნის მართვა, ჯობს ადგილი სხვებს დაუთმონ".

ბატონმა კობამ დაწვრილებით განიხილა ჩვენი ქვეყნის პრობლემები და მათ შორის უმუშევრობა უპირველეს, ყველაზე მტკივნეულ საკითხად დაასახელა:

„მივესალმები თურქეთისა და ჩინეთის მთავრობებს: ისინი გახდნენ ძირითადი იმპორტიორები საქართველოში, შეუქმნეს თავიანთ მოქალაქეებს აქ სამუშაო ადგილები, ეს მაშინ, როდესაც ქართველები ლუკმაპურს ვერ შოულობენ საკუთარ ქვეყანაში და საზღვარგარეთ გარბიან. თუ უმუშევრობა არ დავძლიეთ, ჩვენ ვერ შევაჩერებთ ემიგრაციის ტალღას საქართველოდან".

ბატონი კობას აზრით, ძალზე მარტივია ჩვენში სამუშაო ადგილების შექმნა: „ავიღოთ უბრალო სანთებელა, რომელიც ჩვენში ჩინეთიდან შემოდის. ხომ შეიძლება ზუსტად ასეთი სანთებელა დამზადდეს მუხიანში, სადაც პლასტმასის ქარხანა გვაქვს? – ამას დასჭირდება დაფინანსება, იმ მეწარმის დახმარება, ვინც საქმეს ხელს მოჰკიდებს, მისთვის შეღავათების გაწევა... იმპორტიორი კი მზად არის თანხა დღესვე გადაიხადოს. რა თქმა უნდა, ჩვენს ხელისუფლებას ყოველგვარი შრომისა და ხათაბალის გარეშე ნაშოვნი ფული ურჩევნია. რატომ აიტკივებს თავს, რატომ დაეხმარება მეწარმეებს, რატომ იზრუნებს ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად?"

საკვირველია, რომ ბიუჯეტი 7-ჯერ გაიზარდა, ქართველებს კი საარსებო მინიმუმი ენატრებათ. ამგვარი მინიმუმის არარსებობის პირობებში ადამიანი დასაღუპავადაა განწირული. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს ყიდის სინდისის გარდა. სინდისი არა აქვთ, თორემ იმასაც გაასხვისებდნენ", – დაასკვნა „ხალხის პარტიის" ლიდერმა.

ბატონმა კობამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პენსიებისა და ანაზრების საკითხზე. „90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენი ხალხი ნელნელა იძარცვებოდა. ხალხს უნდა დაუბრუნდეს თანხა, რომელსაც ის კაპიკ-კაპიკ აგროვებდა და სალაროში შეჰქონდა ანაბრების სახით.

პენსიები სტაჟისა და დამსახურების მიხედვით უნდა გაიცეს. ოღონდ, თითოეულ წელზე ერთის.ნაცვლად, პენსიონერს 2 ლარი დაემატოს, რადგან ცხოვრება ჩვენში 2-ჯერ უფრო ძვირი გახდა", – ასეთია „ხალხის პარტიის" წარმომადგენელთა მოთხოვნები.

ამ მოთხოვნების შესასრულებლად კი ხალხის ერთიანობა და აქტიურობაა საჭირო. უმოქმედობა, შიში დამღუპველია, – აღნიშნა კობა დავითაშვილმა, რომელმაც ამგვარი შეკითხვით მიმართა დარბაზშიშეკრებილ საზოგადოებას – „ვისი უნდა ეშინოდეს ხალხს, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ცხოვრობს – ამ ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური ხელისუფლებისა?"...

– მართალია თუ არა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი თქვენი პოლიტიკური პარტნიორია და „ხალხის პარტიას" აფინანსებს? – ვკითხე ბატონ კობას ყრილობის დასრულების შემდეგ. ყოფილი კონსერვატორის პასუხი მოკლე იყო: – „ეს სიცრუეა. არც კი ვიცი, ვის და რატომ სჭირდებოდა მისი მოგონება..."

**ხათუნა ჩიგოგიძე**

№ 109. ხუთშაბათი, 12 ივლისი, 2007 წელი.

◎ ბუზღუნა ბერიკაცი

## ტელეჟურნალისტი თუ სტენოგრაფისტი?

**სხვა დროსაც დამიწერია: ზოგიერთ ჩვენს ტელეჟურნალისტს თავისი ფუნქცია სტენოგრაფისტობა ჰგონია – მიუშვერს მიკროფონს შეგულებულ „ობიექტს", ჩაიწერს და გადმოგვცემს; იმას კი არ უკვირდება, თუ რა უთხრეს, როგორ უთხრეს, რომ შეედავოს, „გაუსწოროს", თუ საჭიროა, ნათქვამი...**

მეხსიერებაში ჩამებეჭდა რამდენიმე წლის წინათ მოსკოვიდან გადმოცემული ერთი ტელერეპორტაჟი. იქაური ქართველი ჟურნალისტი გოგონა აფხაზეთის ომის მორიგ წლისთავზე დუმაში „ მიავლინეს" რომელიმე დეპუტატთან გამოსალაპარაკებლად. არა აქვს მნიშვნელობა, ბაბურინი იყო, მიტროფანოვი, როგოზინი თუ სხვა – რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს არაკეთილმოსურნეებს რა გამოლევს...

ჰოდა იმ დუმელმა ცინიკურად განაცხადა: „Правда, я не понимаю, как маленькая Абхазия победила большую Грузию"... ნუთუ აქ ძნელი მოსაფიქრებელი იყო შეპასუხება: „Вы меня извините, но не маленькая Абхазия победила большую Грузию, а ешё большая Россия, вместе со своим Северным Кавказом и казачеством победила меньшую Грузию".

ეს იქნებოდა საკადრისი სიტყვიერი სილის გაწვნა იმ რუსი პოლიტიკოსისათვის და სხვა დროს დააფიქრებდა ამ საგანზე ამგვარი მსჯელობისას...

აგერ ახლახან კი, სანკტ-პეტერბურგში სამიტზე, ყარაჩაიჩერქეზეთის „მთავარმა" ბაგიევმა, ისევ მიშვერილი მიკროფონიდან, ჭკუის სწავლება დაგვიწყო რაღაც ამის მსგავსად:

– ქართველებს უნდა ესმოდეთ, რომ არ არის სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი, ისინი უნდა გაერთიანდნენ, ერთიანი ოსეთი უნდა იყოს...

ჩვენმა წარგზავნილმა ეს გადაყლაპა და ვერ მოიფიქრა უბრალო პასუხი:

– თქვენც უნდა გესმოდეთ, რომ ქართველები არასოდეს არ შეურიგდებიან საკუთარი ტერიტორიის დაკარგვას. გაერთიანდნენ, რამდენიც უნდათ, ოღონდ არა ჩვენი მიწის ხარჯზე.

... როდისმე ვისწავლით ინფორმაციულ ომს?..

**თამაზ ეგანიძე**

◎ საინგილო

## შეუსრულებელი ვალდებულება და ქართველობის გამო ნაცემი ბავშვები...

**მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია საინგილოს სტუმრობდა. მან ბავშვებს ქართული წიგნები, საკანცელარიო ნივთები და სხვა საჩუქრები ჩაუტანა. ცნობილი გახდა, რომ ის ბავშვები, რომელთაც ქართული წიგნები ეჭირათ, უცემიათ. ამ კონკრეტულ ფაქტსა და ზოგადად იქ მცხოვრები ქართველების მდგომარეობას „ლეიბორისტული პარტიის" პოლიტიკურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა პრესკონფერენცია მიუძღვნა.**

„თითქმის საუკუნის წინათ, საინგილო თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში იყო, მაგრამ სერგო ორჯონიკიძემ ის აზერბაიჯანს გადასცა. მთელმა საქართველომ ნახა, თუ როგორ გაუსწორდნენ ფიზიკურად იმ ინგილო ბავშვებს, რომელთაც ქართული წიგნები ეჭირათ და ქართულად საუბრობდნენ... ეს არის ინგილოთა ეროვნული, რელიგიური და ადამიანური დისკრიმინაცია. მივმართავთ ევროსაბჭოს და მოვითხოვთ, რომ გამოიყოს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საინგილოში გაიგზავნება და ინგილოთა მდგომარეობას საფუძვლიანად შეისწავლის", – განაცხადა მან.

უწინარესად, ტერმინი „საინგილო" მცდარია. ეს ტერიტორია ისტორიულად საქართველოს ძირძველი კუთხეა და მას ჰერეთი ეწოდებოდა, მაგრამ საუბედუროდ, ჩვენვე შეცდომას ვუშვებთ და სხვას რა უნდა მოვთხოვოთ. უნებურად, ხშირად სხვის წისქვილზე ვასხამთ წყალს და ამას გვიან (ან საერთოდ ვერ) ვხვდებით. სწორედ ასევე, ცხინვალის რეგიონს ე. წ. „სამხრეთ ოსეთს" ვუწოდებთ და ამაზე არ ვფიქრობთ.

ჰერეთში მცხოვრები ქართველების შევიწროების ფაქტები ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მომრავლდა. ცნობილია, რომ მათ არა თუ ქართული გვარების, არამედ სახელების დარქმევაც ეკრძალებათ. მართლმადიდებლური რჯული კი იძულებით შეცვლილი აქვთ, მაგრამ ვინც შეინარჩუნა, მასაც არ აძლევენ ქართულ ტაძარში ლოცვის საშუალებას. ე. წ. „კომუნისტების" მმართველობის პერიოდში ამ კუთხეს შედარებით მეტი ყურადღება ექცეოდა. ახლა კი იქაური ქართველები საქართველოსგან გარიყული არიან და ჩვენი ხელისუფლებისგან დახმარებას და თანადგომას ელიან.

„აზერბაიჯანს, როგორც ევროსაბჭოს წევრ ქვეყანას, ვალდებულებები აქვს აღებული, რომ ეროვნულ უმცირესობას იგივე პირობებს შეუქმნის, რაც უმრავლესობას აქვს. აზერბაიჯანმა იმის ნახევარი პირობები მაინც უნდა შეუქმნას იქაურ ქართველებს, როგორშიც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ", – დაასკვნა შატბერაშვილმა.

საქართველოს სხვა ერების პატივისცემა არასოდეს შეშლია, მათ შორის, ეთნიკური აზერბაიჯანელებისაც, მაგრამ სანაცვლოდ, მეზობელ აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებს ეროვნულად და რელიგიურად ავიწროებენ.

საქართველოში თითოეულ ქართველს უნდა მოვუფრთხილდეთ და დავიცვათ, მაგრამ არც მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველები უნდა დავივიწყოთ!

**მაია ხორგუაშვილი**

№ 109. სამშაბათი, 12 ივნისი, 2007 წელი.

# ნიჭი

● ხალხო, რად ვიტყუებთ თავს? ნუთუ ვერ ვხვდებით, რომ სახელმწიფოს ქონების გასხვისებით საქართველო — ჩვენი სამშობლო ფაქტობრივად ვილაცის“ ან „ვილაცების“ საკუთრებაში გადადის?..




◎ მორიგი ტყუილი

## ხელისუფლების შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკა და ხალხის უშეღავათო გაღატაკება

*მე თუ მკითხავთ, ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკაში, რომლის გალიბერალებითაც ხელისუფლება კარგა ხანია თავს იწონებს, ამჟამად რაიმე ცვლილებაზე საუბარი, თავის მოტყუება იქნება და მეტი არაფერი. ტყუილს კი ხელისუფლება ისე მიეჩვია, რომ სხვა გზით ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება ვეღარც წარმოუდგენია. მიეჩვია და ალბათ ვეღარც გადაეჩვევა, რადგან პრაქტიკამ აჩვენა, რომ პრეზიდენტის ენა-პირით მოსახლეობისთვის მსხვილ-მსხვილი დაპირებების ჩამორიგება გაცილებით იოლია, ვიდრე რეალური საქმეების კეთება.*

***ჰოდა, აქედან გამომდინარე, სულაც არ გამკვირვებია, როცა მიხეილ სააკაშვილის ამ ორი თვისწინანდელი დაპირება- ინიციატივა — მალე საშემოსავლო და სოციალური ჯამური გადასახადი მნიშვნელოვნად შემცირდებაო, მორიგი ტყუილი გამოდგა. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა პრეზიდენტის დაპირებული „ლიბერალური“ კანონპროექტი პარლამენტში შევიდა და გაირკვა, რომ მასში ყველაფერი ისეთი მსუყე ფერებით არ არის წარმოდგენილი, როგორც ამას სახელმწიფოს მეთაური გვისურათხატებდა. კერძოდ, სადავო გახდა გაერთიანებული საგადასახადო განაკვეთი, რომელიც 32 პროცენტიდან 25 პროცენტამდე კი არ მცირდება, უბრალოდ, სოციალური გადასახადი, საერთოდ უქმდება, საშემოსავლო გადასახადი კი 12-ის ნაცვლად 25-პროცენტიანი ხდება.***

კი ბატონო, სოციალური გადასახადი თუ გაუქმდება, ამას კაცი როგორმე შეელევა, მაგრამ ამის პარალელურად რატომ ორმაგდება საშემოსავლო გადასახადი? იმიტომ ხომ არა, რომ ხალხს გაზრდილი ხელფასების ხარჯვა უჭირს და ცოტა თუ არ მოიმხო, სოციალური მდგომარეობა დაუმძიმდება? არა, ხელისუფლებას ხალხთან თანადგომის სურვილს ნამდვილად ვერ დავწამებთ, მაგრამ მთავრობა და მისი გოშიები ბიუჯეტში თანხების შემცირების შიშმა რომ დააფრთხო, ეს კი ნაღდია. ისინი, როგორც ჩანს, ხაზინაში შემოსავლების მოსალოდნელ შემცირებას განერიდნენ და ჯავრი მთლიანად საშემოსავლო გადასახადზე, ანუ ხალხზე იყარეს!

მთავრობამ მორიგი ირიბი ოპერაციის წყალობით, როგორც იტყვიან, ორი კურდღელი დაიჭირა: ჯერ ერთი, პრეზიდენტს მორიგი ტყუილის თქმით რეიტინგი შეუმსუბუქა, და მეორეც, დასაქმებულთა ხელფასიდან წართმეული ფულით ბიუჯეტი მოსალოდნელ ზარალს გადაარჩინა. თუმცა, ნამდვილად დაიჭირა თუ არა მთავრობამ კურდღლები, ალბათ ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან საშემოსავლო გადასახადის მოსალოდნელმა ზრდამ მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება, ხოლო პარლამენტში აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია.

საპარლამენტო ოპოზიცია ამ საკითხში მტკიცე და შეუვალია. მისი აზრით, ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებასა და ხალხის დასაქმებაზე იზრუნოს, კანონში ცვლილების შეტანით ცდილობს, დასაქმებული მოსახლეობის იმ მცირე ნაწილსაც, რომელიც საარსებო მინიმუმსაც კი ვერ გამოიმუშავებს, ხელფასიდან მეოთხედი წაგლიჯოს და პირიდან უკანასკნელი ლუკმა გამოაცალოს.

საპარლამენტო უმრავლესობას, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ახლაც „მომგებიანი“ პოზიცია უკავია. მაია ნადირაძეს, მაგალითად, მიაჩნია, რომ კანონპროექტში ყველაფერი დღესავით ნათელია, გაუგებრობა უბრალოდ იმან გამოიწვია, რომ მისი ოპონენტები მარტივ მათემატიკურ ოპერაციებში (მიმატება-გამოკლება) ვერ ერკვევიან. გიგა ბოკერია კი ცდილობს „დაამტკიცოს“ (მას ჰაერზე ლაპარაკი არ უყვარს), რომ საუბარი დასაქმებულთა ხელფასების მოსალოდნელ შემცირებაზე, ჭორია და მეტი არაფერი.

ნამდვილად ასეა? ამის გასარკვევად უფრო საიმედო რესპონდენტები გამოვძებნე, კერძოდ ისინი, რომელთა ცხოვრების ავკარგზე ხელისუფლების მიერ დაგეგმილი „შეღავათიანი“ საგადასახადო პოლიტიკის შედეგები უშუალოდ აისახება.

**ნათია სურმავა (დასაქმებული):** ჯერ ისედაც რა ხელფასი მაქვს და ახალი კანონპროექტი თუ ძალაში შევიდა, დარწმუნებული ვარ, ამასაც წამართმევენ.

**— ასე ფიქრობთ?**

— სხვანაირად აბა როგორ ვიფიქრო, როცა მეუბნებიან, რომ აწი ხელფასიდან 12 პროცენტის ნაცვლად 25 პროცენტს საშემოსავლო გადასახადი წაიღებს!

**— ხელფასსაც გააჩნია.**

— სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე პირადად 100 ლარის შემყურე ვარ.

**— ამ 100 ლარიდან, დაანგარიშებული გაქვთ, თუ საგადასახადო კოდექსში ცვლილება შევიდა, ხელზე რა თანხა დაგრჩებათ? ქალბატონი მაია ნადირაძე ფიქრობს, რომ ბევრმა ანგარიში არ იცის და ახალ კანონპროექტს ამიტომ ეწინააღმედეგება.**

— ეტყობა, თავად პარლამენტარებს და მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკებს უჭირთ ამის დაანგარიშება (დიდი ხელფასების გარდა ხომ სხვა უამრავი შემოსავალიც აქვთ!), თორემ ჩემთვის ყველაფერი მარტივადაა: ამჟამად ხელფასიდან 12 ლარი მეკავება და ხელზე 88 ლარს ვიღებ. თუ საშემოსავლო გადასახადი 25 პროცენტი გახდება, მაშინ თვეში 75 ლარის ანაბარალა დავრჩები. საინტერესოა, ნადირაძე-ბოკერიები დაანგარიშების რა ახალ მეთოდს გვთავაზობენ?

**— ისინი ამბობენ, რომ თქვენ არაფერს იზარალებთ, რადგან მეწარმე, ვისთანაც დასაქმებული ხართ, საშემოსავლო გადასახადის ზრდის შესაბამისად, ხელფასსაც გაგიზრდით.**

— ეგ საკენკი მაგათ თავიანთ კრუხ-წიწილას დაუყარონ. დამსაქმებელს თუ ჩემთვის ხელფასის გაზრდა უნდოდა, მაგათი რეკომენდაციების გარეშეც გამიზრდიდა. მას კანონი ხელფასების გაზრდას არ ავალდებულებს და ისე თავს რატომ აიტკიებს?

მომატებას ვინ ჩივის, 1 ივლისიდან თუ მუნიციპალურ ტრანსპორტზე გაორმაგებული თანხის გადახდა დამჭირდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ხელფასი საერთოდ აზრს დაკარგავს და უმუშევარი უნდა დავრჩე.

**— მეუღლე მაინც თუ მუშაობს?**

— არა, მხოლოდ მშობლები იღებენ პენსის. გამოდის, რომ იმ 96-მა ლარმა პენსიონერებიც უნდა არჩინოს და მეც, ქმარშვილიანად...

**რევაზ ბლუიშვილი (დამსაქმებელი):** — თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

**— რა სათხოვარი?**

— მინდა პრესაში ნათლად და ყველასთვის გასაგებად ითქვას, რომ ხელისუფლება ჩვენი სახელით სპეკულირებას და ხალხის მოტყუებას მოეშვას. კარგად იცით, მეწარმეებს რა რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა. ჩვენ რომ ხელფასების მომატების თავი გვქონდეს, მთავრობის წაქეზება რაში დაგვჭირდებოდა?

**— არა, მთავრობა კი არ გაქეზებთ, მას იმედი აქვს, რომ სოციალური გადასახადის მოხსნით გარკვეულ შეღავათს მოგცემთ, თანხას დააგროვებთ და მას წარმოების გასაფართოებლად და დასაქმებულთათვის ხელფასების გასაზრდელად გამოიყენებთ.**

**ის. 6 გვ.**

◎ ჟურნალისტური გამოძიება

## იქნებ მანამ ვუშველოთ, ვიდრე გაასხვისებდნენ?!

### უკვე საავტორო უფლებებიც იყიდება!

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აპირებს, რომ შპს „ჰიდროპროექტის“ კუთვნილი ქონების სახით ამა წლის 21 ივნისს აუქციონზე გაიტანოს საქართველოში არსებული ჰიდროსადგურების პროექტები.**

არადა, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აღნიშნული პროექტები ავტორების — ფიზიკური პირების საკუთრებაა.

ამიტომ მხოლოდ ავტორებს, და არა სახელმწიფოს, ეძლევათ აღნიშნული პროექტების განკარგვის უფლება, რის შესახებაც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მინისტრ გიორგი არველაძეს უნდა სცოდნოდათ, როცა ამგვარ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებდნენ!

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და პირადად გიორგი არველაძე სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს, რომლის შედეგად, ერთი მხრივ, სამინისტრომ, სახელმწიფოს სახელით, ჯერ მიითვისა პროექტის ავტორთა ქონება, და შემდეგ ჰყიდის მას, და, მეორე მხრივ, მყიდველი ხდება საქართველოში მოქმედი ჰიდროელექტროსადგურების თანაგანმკარგველი, რადგან მისი თანხმობის გარეშე ვერც ერთ ხსენებულ სადგურზე ვერ ჩატარდება მიმდინარე, კაპიტალური, სარეაბილიტაციო თუ სარეკონსტრუქციო სამუშაოები. თანხმობას კი იგი გასცემს, ცხადია, მხოლოდ კომერციულ საწყისებზე!

**აი, როგორ ხელმძღვანელობს საქართველოს სამინისტროს საქართველოს მოქალაქე გიორგი არველაძე.**

შეგახსენებთ, რომ დღემდე საქართველოს ელექტროენერგოგენერაციის და ელექტროენერგოდისტრიბუციის ობიექტებიც უკანონოდ იყო გასხვისებული. როგორც წინა, ისე ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, მოსახლეობის და ქვეყნის ეკონომიკის ინტერესთა საწინააღმდეგოდ, არაერთხელ უსაფუძვლოდ გაზარდა ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფები. რა მოუტანა ქვეყანას ამნაირმა მმართველობამ ფასების ზრდის, ეროვნული ვალუტის გაუფასურების, მისი მსყიდველობითი უნარიანობის ყოველდღიური დაცემის გარდა (ცხადია დადებითი მომენტებიც არის, მაგრამ ზემოაღნიშნულის ფონზე ისინი ფერმკრთალდება)?

რა პერსპექტივა ელის ჩვენი ქვეყნის განვითარებას, როცა საქართველომ თითქმის მთლიანად დაკარგა მართვის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი — სახელმწიფო ენერგეტიკა, რომელიც, საკამათო არ არის, უნდა ყოფილიყო მხოლოდ მომგებიანი?

დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობისთვის ელექტროენერგია ფუფუნების საგნად იქცა. მისი ღირებულების ხელოვნურმა გაძვირებამ ყველანაირად გააუარესა საქართველოს ეკონომიკის განვითარება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „ახალი ქართველების“ — მდიდართა კასტის გამდიდრების და გაბატონების მასშტაბების ზრდის პროცესი არანაირად არ შეფერხებულა, მიდის წინ და წინ.

**ხალხო, რად ვიტყუებთ თავს? ნუთუ ვერ ვხვდებით, რომ სახელმწიფოს ქონების გასხვისებით საქართველო — ჩვენი სამშობლო ფაქტობრივად ვილაცის“ ან „ვილაცების“ საკუთრებაში გადადის?..**

**გასაკვირი და სამწუხაროა, რომ შექმნილ მდგომარეობაში ხსენებული პროექტების არც ერთი ავტორი არ თვლის საჭიროდ, სარჩელით მიმართოს სასამართლოს, რათა ბოლო მოეღოს მორიგ უსამართლობას!**

ამ დროს კი „ნამახვანის“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რომელიც „ჰიდროპროექტში“ მომუშავე ქართველმა სპეციალისტებმა შექმნეს და მხოლოდ მათ — პროექტის ავტორებს — აქვთ მისი განკარგვის უფლება, მათ დაუკითხავად შპს „ჰიდროპროექტის“ ახალმა დირექციამ (დირექტორი — ვახტანგ კობახიძე) გადასცა მოძმე პოლონეთის სპეციალისტებს — პროექტანტებს, რათა ამ უკანასკნელებმა მათი გამოყენებით შექმნან „ნამახვანჰესის“ ახალი პროექტი. **ამისთვის კი ჩვენი სახელმწიფო, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მათ 20 მილიონ ლარზე მეტს უხდის.**

მართლაც, ვაი, ჩვენს პატრონს! ხელისუფლებას უკვე არ აკმაყოფილებს პირადი მიზნების განსამტკიცებლად ქვეყნის, ხალხის ქონების განიავება და ახლა უკვე ქვეყნის — მისი მოქალაქეების კუთვნილი ინტელექტუალური სიმდიდრის განიავება დაიწყო!

რა შეიძლება ეწოდოს მის ამგვარ ქმედებას? ჩვენი აზრით, მხოლოდ სამშობლოს, ქართველი ხალხის ინტერესების ღალატი!

დაუსაბუთებელი და მძიმე ბრალდებაა? დაგვიმტკიცოს ეს აღნიშნული სამინისტროს ხელმძღვანელობამ და პასუხს ვაგებთ!

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ვალერი ლისოჩენკო,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუშინ

სასამართლომ „მიუღებლად“ ცნო მინგრელსკაია-ობოლენსკაიას სარჩელი და ასეთი განაჩენი გამოიტანა: „სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან მინგრელსკის ქონება საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ ცნობილ სუვერენულ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულია ამ სუვერენული სახელმწიფოს საკუთრებად, სენის დეპარტამენტის სასამართლოს შესაძლებლად არ მიაჩნია კანონიერად ცნოს ეს მოთხოვნა“



სანდრო ახმეტელი და ილია მაჩაბელი, 1930 წ.

**◎ დავიწყებული სახეები**

# უგანათლებულესი თავადი მინგრელიისა

1945 წლის 15 აგვისტოს გაკეთებულ მოხსენებაში სიმონ ჯანაშიამ ასე დაახასიათა ზუგდიდის სასახლიდან გამოტანილი განძეულობა და განსაკუთრებით ვერცხლის ჭურჭლის კოლექცია: „... სპეციალურად უნდა დავასახელო შესანიშნავი კოლექცია ქართული სუფრის ჭურჭლისა, უმთავრესად ვერცხლეულის, განსაკუთრებით ბლომად მოდის ისინი სამეგრელოს მთავართა ოჯახიდან, უპირატესად – დავით დადიანისა და მისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის ასულისეული. სიტყვამ მოიტანა და უნდა მოგახსენოთ: საერთოდ, დავით და ეკატერინე დადიანების ოჯახი წარმოდგენილია უაღრესად საყურადღებო ექსპონატებით, რომელნიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ დიდი ქართველი ფეოდალის ოჯახი, ერთადერთი თითქმის იმ ოჯახთა შორის, რომელიც მეტ-ნაკლებად დაურბეველი გადარჩა“ (73;35).

დადიანების განძეულობის ძალიან მცირე ნაწილი რუსეთში გაუტანია დადიანების მოურავს ვლადიმერ ალშიბაიას. მოვლენათა თანამედროვის მოგონების მიხედვით: „დედოფლის სასახლის კედლებში ჩაუმარხავი განძეულობიდან ალშიბაიამ დატოვა მხოლოდ რამდენიმე ოქროს საგანი, მათ შორის რუსეთის მთავრობის ნაჩუქარი ოქროს ხმალი. ეს საგანი მან პეტროგრადში ჩაუტანა ნიკო ნიკოს ძე დადიანს, იფიქრა გაუჭირდებაო. დადიანი იქ დაპატიმრებული დახვდა და ხსენებული საგნები ვლადიმერმა მას საპატიმროში გადასცა. მაგრამ პატიმრობაში მყოფი დადიანი გაუქურდიათ და ეს ძვირფასი საგნებიც მისთვის მოუპარიათ“ (გიორგი კალანდია, „გაძარცვული საგანძური“, თბ. 2006).



ნიკო ნიკოს ძე დადიანი-მინგრელსკი ბავშვობაში.

ჯერ კიდევ პარიზში საქართველოს ლეგაციის გაუქმებამდე, ქალბატონმა სალომე ობოლენსკაიამ ქართულ ემიგრანტულ მთავრობას სთხოვა, მე და ჩემს შვილებს, როგორც მინგრელსკების უკანასკნელ შთამომავალთ, დაგვიბრუნეთ საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში მოთავსებული ქართული განძეულობის ის ნაწილი, რაც ზუგდიდის სასახლის საგანძურიდან არის გამოტანილი და რომლის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრეც მე ვარ ძმის გარდაცვალების შემდეგო.

ობოლენსკაიას ამ თხოვნაზე, უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ მისი ძმის გარდაცვალების შემდეგ დამფუძნებელი კრების დეკრეტით, **მინგრელსკის ქონება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა, ხოლო ბანკში ინახებოდა იმ ქონების ის ნაწილი, რომელიც სამუზეუმო ფონდში იყო გადარიცხული.**

უარის მიღების შემდეგ, 1934 წლის 8 მარტს ობოლენსკაიამ საქმე სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში გაასაჩივრა. სარჩელის მოტივად მოტანილი იყო მოსაზრება, რომ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას უფლება არ ჰქონდა ჩამოერთმია ქონება მინგრელსკისათვის, რომელიც **„რუსეთის ქვეშევდომი იყო და არა საქართველოსი“.**

როგორც ირკვევა, ამ ქალის ზურგს უკან იდგნენ და ეხმარებოდნენ გავლენიანი ადამიანები, მომეტებულად რუსი ემიგრანტები, თუმცა არც ზოგიერთი ქართველი თავადიშვილი, მაგალითად, ვინმე ვაჩნაძე აკლებდა ხელს. ზოგი მათგანი ობოლენსკაიას „მეპაიე“ გამხდარა და დიდი ფულიც და-



სალომე დადიანი-ობოლენსკაია.

უხარჯავს, ალბათ იმ იმედით, რომ როცა პროცესს მოიგებდნენ, ამ დანახარჯებს ერთიათად აინაზღაურებდნენ ყოფილი დადიანისეული ქონების ხარჯზე. მაგალითად, საქმეში აქტიურად იყო ჩარეული საზოგადოება P. E. V. A. რომელსაც, საქმის მოგების შემთხვევაში, უნდა გადასცემოდა ობოლენსკაიას „კუთვნილი“ ნივთების ნაწილი.

სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა აასამართლომ არ შეიწყნარა ობოლენსკაიას „მოტივები“ და 1934 წლის 8 მაისს უარი უთხრა სარჩელზე. ოღონდ ეს კია: ნება დართო, თუ მოისურვებდა, ეცადა სასამართლოს წესით აღედგინა თავისი უფლებები „კუთვნილ“ ნივთებზე.

ქართველ ემიგრანტთა მოლოდინი, ამ დამარცხების შემდეგ ობოლენსკაია ხელს აიღებს განძზე პრეტენზიისგანოო, არ გამართლდა. მან 1936 წლის დამლევს ხელმეორედ აღძრა სასამართლო პროცესი, რომელიც არ შეწყვეტილა იმ მღელვარე მოვლენების გამოცკი, რომელიც თავს დაატყდა საფრანგეთს – ჯერ მეორე მსოფლიო ომისწინა პროცესები და მერე თვით ომი.

ობოლენსკაიას მიერ მეორედ აღძრული სასამართლო პროცესი როგორც პროფ. გივი ჟორდანია წერს წიგნში „დაბრუნებული საუნჯე“, ორჯერ გადადებულა. 1940 წლის ნოემბერში დანიშნული ჯერ 18 დეკემბრისთვის გადაუდიათ, შემდეგ კი, ობოლენსკაიას ვექილის თხოვნით, 1941 წლის 5 თებერვლისათვის. ამ დღეს საქმე გაურჩევიათ, ხოლო განაჩენი 19 თებერვალს გამოუცხადებიათ.

სასამართლომ „მიუღებლად“ ცნო მინგრელსკაია-ობოლენსკაიას სარჩელი და ასეთი განაჩენი გამოიტანა: **„სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან მინგრელსკის ქონება საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ ცნობილ სუვერენულ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულია ამ სუვერენული სახელმწიფოს საკუთრებად, სენის დეპარტამენტის სასამართლოს შესაძლებლად არ მიაჩნია კანონიერად ცნოს ეს მოთხოვნა“** (ე.ი. ობოლენსკაიას პრეტენზია).

**ამრიგად,** დადიანთა შთამომავლისგან განძის ნაწილის ხელყოფის ცდა უნაყოფოდ დასრულდა. დამარცხდნენ როგორც ქალბატონი სალომე, ისე ის საქმოსნები, ვინც ამ პროცესზე ბლომად ხარჯავდა ფულს მოგების იმედით. მათი მთავარი მოწინააღმდეგე, განძის ხმალშემართული მცველი ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს, რომ მას სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ...

პროცესის წაგების შემდეგ ობოლენსკის ქვრივმა გერმანიას შეაფარა თავი. თუმცა, როგორც ექვთიმე თაყაიშვილისადმი 1943 წლის 2 თებერვლით დათარიღებული ვინმე ადვოკატის (ხელმოწერა გაურკვეველია) წერილით ირკვევა, რალაც იმედებს ისევ ეპოტინებოდა, ამჯერად, უკვე გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლების დახმარებით.

აი, ამ „პოტინის“ საილუსტრაციო ნაწყვეტი ზემოხსენებული წერილიდან: „ბატონო, თავად ვაჩნაძის დავალებით ავიღე ქალბატონ ობოლენსკაიას, სამეგრელოს თავადის ასულის საქმე. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მე გადმომეცა 1921 წელს საქართველოს მთავრობის ზრუნვით საფრანგეთში ჩამოტანილი და „ბანკ დე ფრანსის“ საცავში შენახული ყუთების დოსიეები. ამ ყუთებში ძევს ისტორიული განძი და ძვირფასი ქვები – ნაწილი ქართველი ერის, ნაწილი კი აწ გარდაცვლილი სამეგრელოს მთავრის ერთადერთი მემკვიდრის, პრინცესა ობელენსკაიას კერძო საკუთრება. ამჯერად საქმე ეხება განძის დაბრუნებას ოკუპაციური ხელისუფლების დახმარებით, რომელიც მზადაა, ცნოს საქართველოს ანტისაბჭოური მთავრობისა და პრინცესა ობოლენსკაიას კანონიერი უფლებები.

როდესაც უფლებებს აღიარებენ და განძს გადასარჩევად დაუბრუნებენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, როგორც ეს გათვალისწინებული იყო, საჭირო იქნება, ნივთები გაიყოს ორ ნაწილად, რათა შემდგომ ისინი გადაეცეს თავის კანონიერ მფლობელებს...“

ამ გაჭიანურებულ დავას საბოლოო წერტილი 1945 წლის 5 აპრილს დაესვა, როცა პარიზიდან თბილისში ორი თვითმფრინავი გამოფრინდა, რომელსაც 1921 წელს დემოკრატიული მთავრობის მიერ საქართველოდან საფრანგეთში გატანილი განძი მოჰქონდა. ეს დაბრუნება დე გოლისა და სტალინის მოლაპარაკების შედეგად განხორციელდა.

განძთან ერთად შინ ბრუნდებოდა დიდი ექვთიმე თაყაიშვილიც, რომლის 24-წლიანი დაუღალავი ბრძოლისა და რუდუნების შედეგი იყო განძის საქართველოსთვის გადარჩენა. ამიტომ უწოდეს მას საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი.

სალომე დადიანი-მინგრელსკაია, ობოლენსკის ქვრივი, 1961 წელს გარდაიცვალა პარიზში. მისი შთამომავლები ევროპის ქვეყნებში ჩაიკარგნენ. დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ნაგრამიდან ერთადერთი – სალომე დადიანი-მიურატის შვილთაშვილი ალენ მიურატი ცოლითა და ქალიშვილით ცხოვრობს დღეს საქართველოში, რომელიც საფრანგეთიდან დაბრუნდა წინაპართა ნაფუძარზე...

ალეკო ასლანიშვილი

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 104-108.

**◎ ინფორმაცია**

## ჩვენი ვალები მცირდება

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 31 მაისის მდგომარეობით, წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით, 29,8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან იტყობინებიან.

ორმხრივი კრედიტორების წინაშე საგარეო ვალი 21,3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ – 7,6 მლნ აშშ დოლარით, ხოლო სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ოდენობა მიმდინარე წლის 30 აპრილთან შედარებით – 804 ათასი აშშ დოლარით.

ამჟამად საქართველოს ვალი მრავალმხრივი კრედიტორების წინაშე 1,148 მილიარდი აშშ დოლარია.

## თანამდებობას ბოროტად იყენებსო

„მემარჯვენეები“ ხელვაჩაურის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის ილია მალაყმაძის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვენ.

პარტიის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები მალაყმაძეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ.

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი თენგიზ კახიძე აცხადებს, საკრებულოს თავმჯდომარემ ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს საკუთრების უფლება შეელახათ.

საქმე ეხება 1999-2003 წლებში მიწის ნაკვეთების გაცემის შესახებ დოკუმენტაციის უკანონოდ გამოცხადებას.

„მემარჯვენეების“ თქმით, ხელვაჩაურის რაიონის რამდენიმე ათეული მოსახლე, რომლებმაც მიწები კანონიერად მიიღეს და სახლებიც ააშენეს, საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე ღია ცის ქვეშ რჩება.

თუ მალაყმაძე თანამდებობას არ დატოვებს, „მემარჯვენეები“ მასშტაბური საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

## კორპუსებში წყლის საერთო მრიცხველები დამონტაჟდება

წლის ბოლომდე წყლის საერთო მრიცხველები თბილისის 3 ათას კორპუსში დამონტაჟდება.

ამის შესახებ კომპანია „თბილისის წყალის“ გენერალურმა დირექტორმა გეგი ქელბაქიანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ამ მომენტისთვის მრიცხველების დამონტაჟების სამუშაოები ვაჟა-ფშაველას გამზირის კვარტალებში, ნუცუბიძის ფერდობზე, გლდანში, მუხიანში, კონიაკის დასახლებაში, სანზონასა და ვაკეში ხორციელდება.

– სულ თბილისში 10 ათასი კორპუსია, ამიტომ წყლის საერთო მრიცხველების დადგმის პროცესი ქალაქში სამი წლის განმავლობაში გაგრძელდება, – განაცხადა ქელბაქიანმა.

ინტერპრესნიუსი

№ 109. სამშაბათი, 12 ივნისი, 2007 წელი.

# რა დღეშიც ვართ

• დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, სიკვდილის ხელშემწყობი ფაქტორების ერთი ნახევარი ცხოვრების წესსა და ქცევებზე მოდის, ხოლო მეორე ნახევარი — გარემოზე, გენეტიკასა და ჯანდაცვის სისტემაზე



◎ მიწისქვრა ჩვენს სულებში

## იცოცხლე, კარგი იყოს სრულფასოვანი კვება, მაგრამ რა ღირს?

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამოცემულ წიგნში „ჯანსაღი კვება — ჯანმრთელობის მთავარი გასაღები“ გარკვევით არის აღწერილი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის ხანგრძლივობისთვის სრულფასოვან კვებას.**

წიგნში მითითებული რაციონის: ბურღულეულის, ხილ-ბოსტნეულის, ხორცის, კვერცხის, რძის პროდუქტებისა და ა.შ. დღიური ულუფა რომ გადავიანგარიშეთ ლარებში, გამოვიდა, რომ ერთი ადამიანის კვებისთვის 6 ლარი მაინც არის საჭირო (არადა ამ თანხით მთელი ოჯახი გადის ფონს), სახელმწიფო კი გულზე მჯიღს ირტყამს და ბაქიბუქობს, ჯარისკაცის კვებისთვის ლარსა და 20 თეთრს ვხარჯავო. თურმე დიდი არაფერი?!

ვთქვათ, ოთხსულიან ოჯახს მხოლოდ კვებისთვის 740 ლარი სჭირდება თვეში, ამას მივუმატოთ გადასახადები, სხვადასხვა გასავალი, გამოდის 1000 ლარი მაინც უნდა ჰქონდეს შემოსავალი, მაგრამ... მაღალშემოსავლიანი ოჯახები ხომ ძალიან ცოტაა ჩვენთან?

აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვაოცოს იმ სავალალო შედეგებმა, რაც გვაქვს დაავადებებთან დაკავშირებით. საგანგაშოა დემოგრაფიული მდგომარეობა, 2006 წლის მონაცემებით, ყოველწლიურად 1 პროცენტით ვმცირდებით. შობადობა რომ ნაკლებია, გასაგებია, მაგრამ საკმაოდ იზრდება ნაადრევი სიკვდილის ფაქტები.

დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, სიკვდილის ხელშემწყობი ფაქტორების ერთი ნახევარი ცხოვრების წესსა და ქცევებზე მოდის, ხოლო მეორე ნახევარი — გარემოზე, გენეტიკასა და ჯანდაცვის სისტემაზე.

**ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსი ლელა სტურუა** ამბობს, რომ სიცოცხლე დამოკიდებულია სოციალურ ფონზე. არის უამრავი სტრესი, უმუშევრობა, დაბალი ანაზღაურება, რაც უარყოფითად აისახება მოქალაქეებზე. ძალიან დაბალია სამედიცინო განათლების დონე. ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული, მაგრამ საქართველოში რომ სიტუაციაა, ისეთი არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ არის, შეიძლება იყოს აფრიკის რომელიღაც მიყრუებულ რაიონში, — დასძენს ის.

სტატისტიკით, დაავადების ნახევარზე მეტი (74,4 პროცენტი) გულსისხლძარღვთა დაავადებებია. მიზეზი — ნერვიული სტრესები, მძიმე სოციაური ფონი, გამონაბოლქვი, ალკოჰოლი და თამბაქო. მეორე ადგილს ონკოლოგიური დაავადებები იკავებს. 2005 წელს 6 ათასი ადამიანი დაღუპულა კიბოთი. ყველაზე საუბედურო ის არის, რომ გამოვლენა ხდება მეოთხე სტადიაზე (42 პროცენტი), ანუ მაშინ, როცა განკურნება შეუძლებელია. დეპარტამენტში ამის მიზეზად უყურადღებობას ასახელებენ, თუმცა უფრო საფიქრებელია ეს ეკონომიკური ფაქტორით იყოს გამოწვეული. უსახსრობის გამო უკიდურეს მდგომარეობამდე არ მიდიან ექიმთან.

1998 წელთან შედარებით დაახლოებით 5-ჯერ არის გაზრდილი ფსიქიური აშლილობები. მატულობს ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი. როცა დაავადება შორს არის წასული, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული წამლები არ შველის, პაციენტებს კი არა აქვთ ძვირიანი წამლის საყიდელი თანხა. არადა ყველამ ვიცით, რომ ტუბერკულოზი სოციალური დაავადებაა და იგი ფინანსურად უზრუნველყოფილ ადამიანებს თითქმის არც ემართებათ. მატულობს დიაბეტი, ტრავმატიზმი, ინფექციური დაავადებები (უმეტესად ბავშვებში).

საინტერესოა, რომ ამ ფონზე საქართველოში სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით დიდია ხანდაზმულობის ასაკი (85 წელი). რუსეთში მამაკაცის ხანდაზმულ ასაკად 58 წელია მიჩნეული. საერთოდ, სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობად 68-75 წელია დასახელებული (აღსანიშნავია, რომ ჩვენთან ქალებს უკანასკნელ 15 წელიწადში შრომა და ჯაფა გაუორმაგდათ, მაგრამ ამან მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე არ იმოქმედა და მამაკაცებზე მეტხანს ცოცხლობენ).

და მაინც, უმთავრესი სიცოცხლისათვის არის კვების ფაქტორი. 2005 წელს საქართველოს ხუთ რეგიონში ჩაატარეს კვლევა, თუ რა მდგომარეობა იყო კვების მხრივ. გამოკითხულთა დიდ უმრავლესობაში დარღვეული იყო სრულფასოვანი კვების პრინციპი. რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა ვერ მიიღო საჭირო რაოდენობის ხორცი, თევზი, კვერცხი და ბოსტნეული, ხოლო პური და მაკარონი ნორმაზე მეტი მიიღო 70 პროცენტმა. ეს იმის მანიშნებელია, რომ ადამიანთა უმეტესობა ვერ ზრუნავს იმაზე, რომ საჭირო ენერგეტიკული ღირებულების საკვები მიიღოს, არამედ მთავარია დანაყრდნენ, მოიკლან შიმშილის გრძნობა. მოსახლეობის უმეტესობისთვის ხელმისაწვდომი არაა საჭირო სურსათის ყიდვა (მათი მაღალი ფასებიდან გამომდინარე).

ალბათ, საინტერესოა, იქნებოდა თუ არა სპირიდონ კეიდიას პარიზში მცხოვრები 87 წლის ქალიშვილი ისეთი ენერგიული და ჯანმრთელი, საქართველოში რომ ეცხოვრა ? ლელა სტურუა თვლის, რომ არა, „ვერ იქნებოდა ზუსტად ისეთი, როგორიც არის, თუმცა იქნებოდა სხვა მისი ასაკის ქალბატონებზე უკეთესად. ამის თქმა შეიძლება მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე, კვლევაა საჭირო, მაგრამ ამ ქალბატონის შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს გენეტიკა. ასევე ის, რომ ფიზიკურად აქტიური ადამიანია: ვარჯიშობს და, ალბათ, იცავს სწორი კვების რეჟიმს“.

ასე რომ, თუ გვინდა ვიყოთ მხნე და ჯანმრთელი, უნდა ვიაროთ ფეხით ნახევარი საათი მაინც, მეტი დრო გავატაროთ სუფთა ჰაერზე, გავთავისუფლდეთ უარყოფითი აურისაგან, ნუ მოვწევთ, მივიღოთ ცოტა ალკოჰოლი და მთავარი — მივირთვათ ყოველდღე ხუთი სახეობის სხვადასხვა ფერის ხილი და ბოსტნეული (!). მაგრამ არის სხვა სადარდელიც: რამდენად საღი და უვნებელია ის საკვები, რაშიც ვიხდით ჩვენი სიმწრისგან გაშავებულ თეთრებს. ხომ არ ვყიდულობთ სიკვდილს?!

**თეა მოსია**

◎ მორიგი ტყუილი

## ხელისუფლების შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკა და ხალხის უშეღავათო გალატაკება

(მეოთხე გვერდიდან)

— მთავრობა ვერ დამავალდებულებს, ასეთ შემთხვევაში თანხა რა მიზნით გამოვიყენო, წარმოება და ხელფასები გავზარდო, თუ ის საკუთარ ჯიბეში ჩავიდო. თუმცა ვინ ჩაგადებინებს, ფულის დათვლასაც ვერ მოასწრებ, ისე სასწრაფოდ დაგადგება სახელმწიფო რეკეტი და ხელიდან გაგაგდებინებს.

**— რეკეტზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლები ჯიუტად იმეორებენ, რომ კერძო სექტორს გადასახადის შემცირებით რჩება მეტი ფული და შესაბამისად უჩნდება მოტივაცია, რომ თანამშრომლებს ხელფასი გაუზარდოს და წარმოების განვითარებაზეც იზრუნოს.**

— სულ ფუჭი სიტყვებია, რეალურად შეღავათი იმდენად მცირეა, რომ ის ხელფასების ზრდის გარანტად ვერ გამოდგება. არ მესმის რა შეღავათზეა საუბარი, თუ მე გადავწყვეტ, რომ დაქირავებულს გაზრდილი საშემოსავლო გადასახდის საკომპენსაციოდ ხელფასი გავუზარდო, ეკონომია საიდანღა გავაკეთო? არ იქნება ეკონომია, არ იქნება წინსვლაც.

**დავით სუმბაძე (ეკონომისტი):** — რა თქმა უნდა, სოციალური გადასახადის გაუქმება თავისთავად პროგრესული ნაბიჯია და ის ხალხის დასაქმებას შეუწყობს ხელს. მეწარმეს ადრე თუ ეშინოდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იმის გამო, რომ 20-პროცენტიანი სოციალური გადასახადის გადახდა მოუწევდა, ახლა ეს პრობლემა ეხსნება. თუმცა ყველაფრის ისე მარტივად წარმოდგენა, როგორც ეს ახალ კანონპროექტშია, ილუზიის სფეროს განეკუთვნება და რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ჩემი აზრით, თუ ხელისუფლებას უნდოდა, რომ ორივე მხარისთვის შეღავათი გაეწია, საშემოსავლო გადასახადიც უნდა შეემცირებინა (12-დან 10 პროცენტამდე) და სოციალურიც (20-დან 15 პროცენტამდე). აი, ეს ნამდვილად წაადგებოდა საქმეს, მეწარმესაც და მასთან მომუშავესაც.

**— ახლა კი, რასაც ხელისუფლება ლაპარაკობს, ყველაფერი ბლეფია?**

— ასე გამოდის. უნდათ თავი მოიწონონ, რომ გადასახადის ჯამურ რაოდენობას (32 პროცენტი) 7 პროცენტით ამცირებენ, რითაც ბიუჯეტს აზარალებენ. სინამდვილეში ხალხს ატყუებენ, ბიუჯეტი კი არ დაზარალდება, პირიქით, მასში უფრო მეტი თანხა შევა, რადგან არის სამეწარმეო ურთიერთობები, სადაც საგადასახადო ტვირთი შემცირების ნაცვლად გაიზრდება. ასეთებია, მაგალითად, გაქირავება, ვაჭრობა და სხვა სფეროები, სადაც ამჟამად სოციალური გადასახადის გადახდა არ უხდებათ.

**— ესე იგი, გინდათ, თქვათ, რომ ხალხს თვალებში ნაცარს აყრიან? თქვენ, როგორც ეკონომისტმა, ხომ არ იცით, ამდენ ნაცარს სად შოულობენ?**

— ვერ ვიტყვი, რომ იპორტიორებს შემოაქვთ (ეღიმება). ეტყობა, ხელისუფლებას „ლევი“ საწარმოები აქვს გახსნილი, სადაც თავიანთვის ფულს ჭრიან, ხელხისთვის კი ნაცარს ამზადებენ (!).

რესპონდენტთა ნათქვამს ვეღარაფერს დავამატებ, გარდა ერთისა — ხელისუფლებამ მორიგი ტყუილი დაახეთქა, განაცხადა, პარლამენტში შეღავათიანი საგადასახადო ინიციატივით შევდივარო, სინამდვილეში კი საკუთარი ხალხი უშეღავათო გალატაკებისთვის გაწირა.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ გვწერენ

## „გამარტივებული“ კოდექსი და დაბნეული მეწარმე

**იმას, რომ საგადასახადო კოდექსი მარტივი და გასაგები იყოს, მრავალი წელია, უშედეგოდ ითხოვენ მეწარმეები. სამწუხაროდ, გადის წლები, პრაქტიკულად კოდექსები იცვლება, მაგრამ შესასრულებლად სულ უფრო რთული და კვლავ ორაზროვანი ხდება.**

სოციალური და საშემოსავლო გადასახადების გაერთიანება ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ბოკერიამაც, ტყემალაძემაც ახალი შესწორება სულ სხვადასხვაგვარად აღიქვეს და უბრალო მეწარმეებმა რაღა ვქნათ?

დაიბნა მეწარმე. ბოლოს და ბოლოს, მოსკოვში ხომ აღარ არის შესათანხმებელი საკითხები, აქამდე რომ ვერ გაგვირკვევია? პასუხისმგებლობა კოდექსში შეტანილი ცვლილებისთვის, უფრო სწორად, იმისთვის, რომ იგი მარტივად და იოლად აღსაქმელად იყოს დაწერილი, მისმა ავტორებმა უნდა იკისრონ, საჭიროებისას, არადა, ამის აუცილებლობა ნათლად ჩანს, ამ საქმეში პრაქტიკოსებიც ჩართონ, რათა მათი პრაქტიკული გამოცდილება გაიზიარონ.

სამწუხაროდ, ჩვენთან კოდექსი იწერება მხოლოდ შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით, რათა ადმინისტრირება გაიადვილონ და რაც შეიძლება მაგრად გაწურონ მეწარმეები, პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები არავის ადარდებს. ასეთი მიდგომა შემდგომ ქმნის გაუგებრობებს. შეგახსენებთ, საქონლის აღრიცხვის უაზრო ჟურნალებმა რა აჟიოტაჟი და უსიამოვნება გამოიწვია, რომელიც საფინანსო პოლიციის იარაღად იქცა და, დაინტერესდით, რამდენი უსიამოვნება შეიქმნა ამ მიზეზით.

წარმოიდგინეთ, ეს კანონი სოფლის მეურნეობის სფეროში დამქირავებელსა და დაქირავებულს რომ შეეხება, როგორ იქნება, მიწის კერძო მესაკუთრე ფაქტობრივად 25 პროცენტის გადამხდელი გახდება? ან რას იზამს ბინის გამქირავებელი? ამით ხომ ნახევარი თბილისი სულდგმულობს?

ეტყობა, კანონი დიდი სასტუმროების ხელშესაწყობად და ჭყონია-რჩეულიშვილების დონის მეწარმეთათვისაა უფრო ნაფიქრალი, უბრალო მეწარმეს კი, ჩვეულებისამებრ, კვლავ გაწურავენ.

**აწურულ გაწურულაშვილი**

*(ეს ჩემი გვარ-სახელი არ არის, ხელს ვერ ვაწერ, რადგან მეწარმეთათვის საკუთარი აზრის გამოთქმაც კი სახიფათო გახდა)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღევანდელობა

• მოზარდი უნდა დარწმუნდეს სასამართლოს ჰუმანურობაში. მან უნდა იფიქროს ქვეყანაში არსებული კანონების და მათი გამოყენების ჰუმანურობაზე, იმაზე, რომ იგი უფრო მკაცრად დაისჯებოდა, მაგრამ მხედველობაში მიიღეს მისი არასრულწლოვანება და ბევრი რამ აპატიეს



◎ პრობლემა

# 8 ბავშვი მოკლეს, 8 კი — ციხეში ჩასვეს!

## დანაშაული და სახელმწიფო

***ამ ბოლო დროს ჩვენი მასმედიის ყურადღება მოზარდთა შორის აგრერიგად გახშირებული დანაშაულის — ერთმანეთის დაუნდობლად ხოცვა-ჟლეტის შემზარავი ფაქტებისკენ არის მიპყრობილი.***

***ბუნებრივია, ყველაფერს, მათ შორის მძიმე დანაშაულსაც თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ... ვიდრე ცალკეულ მიზეზებს ჩავწვდებოდეთ, ქვეყანა ლამის წალეკოს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილმა ახალგაზრდულმა (ხშირად არასრულწლოვანთა!) დანაშაულმა.***

***ამთავითვე ვიტყვი: კარგა ხანია განგაშის დრო დადგა. თუ მთელი საზოგადოება ძალუმად არ აღუდგა საქართველოში მიმდინარე ამ უბედურებას, მოზარდთა ურთიერთგამეტების ნიაღვარს, მარტოოდენ პრესის, ტელევიზიის, გნებავთ, მთელი ინტელიგენციის ვიშვიში ვერას გვიშველის!***

***საკითხის ისე დაყენება, რომ დღევანდელი გაჭირვების ჟამს, ასეთი მძიმე სოციალური პირობების გამო, ბავშვთა აღზრდა, მათი სწორ გზაზე დაყენება შეუძლებელია, მართებულად არ მიმაჩნია.***

**დღეს ერთ-ერთ მთავარ ფაქტორზე მინდა ყურადღება გავამახვილო და სწორედ ამან ამაღებინა ხელში კალამი: სკოლისა და ოჯახის გარდა, ნუთუ არავის ეკისრება პრევენციული ზომების მიღება?**

**ეკისრება და მერე როგორ! ეს გახლავთ სახელმწიფო, ყველა თავისი „ატრიბუტით", განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოებით!**

ვსვამ კითხვას: მართებულად მუშაობენ დღეს ეს ორგანოები და დამაკმაყოფილებელია თუ არა მათი პროფილაქტიკური საქმიანობა? **კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არა!** და ეს ლიტონი სიტყვები არ გახლავთ. შინაგან საქმეთა ორგანოებში სამი ათეული წლის მუშაობის გამოცდილება მაძლევს ასეთი კატეგორიული განცხადების უფლებას. დღეს რომ ასობით არასრულწლოვანი ციხის ჯურღმულებშია გამომწყვდეული და მათი რიცხვი კიდევ უფრო იზრდება, ეს საქმეს სრულებითაც არ შველის. მაინც, როგორ უნდა გაიზარდოს (აღიზარდოს!) მოზარდი, სკოლის მოსწავლე, რომელსაც 5-10 წლით თავისუფლების აღკვეთას უსჯიან და შემდეგ არც არაფერს ითვალისწინებენ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ იყენებენ მათ მიმართ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს და მაინცდამაინც სრულად უნდა მოიხადონ სასჯელი! მერედა, რა მოაქვს ამ სიმკაცრეს, გარდა არასრულწლოვანის გადაგვარებისა და მისი ნორმალური კალაპოტიდან კიდევ უფრო ამოვარდნისა?

ციხიდან თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ ხდება კი მათზე ჯეროვანი მეთვალყურეობა, რათა გამოსწორების გზას დაადგნენ? — ნამდვილად არა. განა აღზრდის რა სერიოზული ელემენტებია იმაში, რომ პატიმრობიდან გათავისუფლებული ახალგაზრდა თვეში 2-3-ჯერ პოლიციის განყოფილებაში ან პრობაციის სამსახურში უნდა გამოცხადდეს და პოლიციის მუშაკებს უნდა „მიესალმოს"!

**სწორედ ეს არის თავის მოტყუება!**

ანდა, თუ ფიქრობენ მართლმსაჯულების ორგანოები იმაზე, როცა უმძიმეს სასჯელებს იმეტებენ არასრულწლოვანთა მიმართ, ეს მათ აღზრდას ხელს შეუწყობს? არა და არა! ამაზე არ ფიქრობენ გამოძიების, პროკურატურის და სასამართლო ორგანოები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სცოდავენ პროკურორები, სასამართლოებში ბრალმდებლად გამოყოფილი პირები და შემდეგ, საქმის განმხილველი მოსამართლეები.

დღევანდელი პრაქტიკა დამღუპველია. ციხეები არასრულწლოვანებით გაივსო. რატომ არ ფიქრობს ამაზე სახელმწიფო? ასეთი მიდგომით შეიძლება არასრულწლოვანთა გამოსწორება?

პრაქტიკა ასეთია: მოდის ბრალმდებლად მოვლენილი პროკურორი სასამართლოში, საბრალდებო სიტყვაში იყენებს არასრულწლოვანთა მიმართ კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმუმს (ნასამართლევია თუ არა!) და, აბა, გაბედოს მოსამართლემ და არ დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა. თუ იგი ითვალისწინებს საქმის მასალებს, დანაშაულის სიმძიმეს, განსასჯელის პიროვნებას და სათათბირო ოთახში საქმეს პირადი რწმენით გადაწყვეტს, რატომ უნდა ჰქონდეს მას შიში ზედამხედველი ორგანოებისადმი, რომ ამისთვის მას დასჯიან?

მხოლოდ სამ ფაქტს დაგისახელებთ.

**ტელევიზიით ბევრმა ნახა, თუ როგორ დაიჭირეს არასრულწლოვანი იმისათვის, რომ მან ბაბუის ძროხა წაიყვანა გასაყიდად და საწყალ ბაბუას როგორ გადაახდევინეს გირაოს თანხა 2 ათასი ლარი.**

კიდევ უფრო ამაზრზენი ფაქტი: **ისნის რაიონში ლტოლვილმა ბიჭმა მეზობლის მონგრეული ბარაკიდან წაილო ძველისძველი სახურავის რამდენიმე ფურცელი ისე, რომ ამის შესახებ პატრონსაც ჰკითხა. უბნის ინსპექტორმა გაიგო რა ამის შესახებ, ბიჭი დააკავა და მიჰგვარა „უფროსობას". საქმე აღიძრა. „ჰუმანურობა" გამოიჩინა პროკურატურამ — სრულიად ახალგაზრდა ბრალმდებელმა გოგონამ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა! შემდეგ თითქოს დიდი ადამიანურობა გამოიჩინა და... მოითხოვა გირაოს თანხის გადახდა 2 ათასი ლარის ოდენობით და 5 წლით პირობითი სასჯელი! მოსამართლე ერთხელ კი შეეკამათა ბრალმდებელს, მაგრამ ვერ გაბედა 5 წლის ნაცვლად უფრო მცირე ზომის სასჯელით დაკმაყოფილებულიყო.**

კიდევ უფრო შორს წავიდა ერთი ბრალმდებელი, როცა **მე-11 კლასის მოსწავლის მიმართ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. და რა გგონიათ, მოსამართლემ რამე შეღავათი გაიმეტა ამ ბიჭისთვის? არა.**

როცა ასეთ საკითხებზე ვმსჯელობთ, რა თქმა უნდა, დამნაშავეთა დაუსჯელობაზე როდი ვაკეთებთ აქცენტს.

მოზარდი უნდა დარწმუნდეს სასამართლოს ჰუმანურობაში. მან უნდა იფიქროს ქვეყანაში არსებული კანონების და მათი გამოყენების ჰუმანურობაზე, იმაზე, რომ იგი უფრო მკაცრად დაისჯებოდა, მაგრამ მხედველობაში მიიღეს მისი არასრულწლოვანება და ბევრი რამ აპატიეს.

მინდა ყურადღება გავამახვილო იმის თაობაზე, თუ რა არის საჭირო მსგავსი დანაშაულობების აღსაკვეთად.

**უპირველესად, მოგახსენებთ სამართალდამცავ ორგანოთა, განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა ორგანოების როლსა და დანიშნულებაზე.**

კომუნისტური რეჟიმიდან ყველაფერი როდი იყო „გადასაყრელი". ჩემი მუშაობის ხანაში ზედმიწევნით იდეალურად მოქმედებდა დანაშაულთა პროფილაქტიკური სამსახური. შსს-ში არსებობდა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის მთელი სასამართლო აპარატი, ქვედა რგოლები — განყოფილებები, ბავშვთა ოთახები. ეს სისტემა მუშაობდა გამართულად. დედაქალაქში, სხვადასხვა ქალაქში სისტემატურად ტარდებოდა დღის და ღამის შემოვლები, სკოლებზე მიმაგრებული იყვნენ არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორები. მათ მიზანმიმართულ მუშაობას სათანადო შედეგი მოსდევდა.

ამ სამუშაოებში, გარდა არასრულწლოვანთა ინსპექციის თანამშრომლებისა, ჩართული იყვნენ სისხლის სამართლის დანაყოფები, უბნის ინსპექტორები. მათი ერთობლივი მუშაობით არასრულწლოვანთა დანაშაულობანი ყოველწლიურად მცირდებოდა. მკვლელობები კი ან საერთოდ არ იყო, ან იშვიათი გამონაკლისი გახლდათ. როგორც არასრულწლოვნებს, ისე მათ მშობლებს გასაქანი არ ეძლეოდათ ჩაედინათ მძიმე დანაშაულობანი.

**რატომღაც, დღეს მივიწყებულია ყველა ამ სტრუქტურის მუშაობა და აი, შედეგიც! წელს, მარტო მარტ-მაისში მოხდა 20 მკვლელობა, აქედან მოზარდების 8 შემთხვევა! 8 ბავშვი დაიღუპა, 8 კი — ციხეში მოხვდა!**

მიმაჩნია, რომ შს ორგანოებმა უნდა შეცვალონ დღევანდელი სტრუქტურა. რაც არ უნდა იზარალოს ბიუჯეტმა, აუცილებელია კვლავ ამოქმედდეს ნაცადი „ძველებური" სტრუქტურები, რომლებზედაც ზემოთ ვთქვი. თუ ეს ასე არ გაკეთდა, რამდენიც უნდა ვუკიჟინოთ მშობლებს და სკოლის ხელმძღვანელობას, დადებითი შედეგი არ გვექნება.

**სათანადო რესურსი ქვეყნის ხელმძღვანელობას აქვს და იმას რა აჯობებს, თუ თვითონ პრეზიდენტი აიყვანს პირად კონტროლზე ამ ურთულეს საქმეს.**

ბუნებრივია, უფრო მეტი დრო უნდა დაუთმონ ამ საქმეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ტელევიზიამ, პრესამ და... ასეთი ერთობლივი მუშაობით, უეჭველად დადგება დადებითი შედეგი.

**სხვაგვარად, ამ მძიმე ლოდის ადგილიდან დაძვრა, შეუძლებელია!**

**ოთარ ბერიშვილი,**
**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**



◎ ღვთის სათნო საქმე

# ბოლნისში, წმინდა ელიას მთაზე, ტაძარი რომ აიგოს

## ის აზერბაიჯანელი აუცილებლად მომცემდა ფულს, მაგრამ ხომ მოგვეჭრებოდა თავი ქართველებს!

***მიხეილ არველაძე ერთი ბოლნისელი კაცია. რედაქციაში მოვიდა და ხვაშიადი გამიზიარა. ისიცა და მისი ოჯახიც „ვარდების რევოლუციამდე" ნაციონალურ მოძრაობაში გაერთიანდნენ. ამის გამო, ძალზე ბევრ უსიამოვნებას გადაჰყარეს. რაიონიდან გადახვეწითაც დაემუქრნენ. მაინც თავისაზე იდგნენ. მერე, მოძრაობამ რომ გაიმარჯვა, ბევრისგან განსხვავებით, სათავისოდ არა უთხოვია რა. მაშ, რა აწუხებს, რისთვის გვეწვია რედაქციაში?***

— 1987 წელი იყო. ვერ გეტყვით, საიდან, როგორ, წმინდა ელიას მთაზე, წმინდა პეტრესა და პავლეს ძველი, ერთნავიანი დანგრეული ბაზილიკის ადგილზე, ამავე წმინდანთა სახელობის ტაძრის აგების იდეა ჩამესახა. სურვილმა რომ აღარ მომასვენა, ბოლნის-დმანისის ეპისკოპოსი მეუფე თადეოზი ავიყვანე მთაზე (ისეთი მადლიანი სალოცავია, ვინც წმინდა გულით შესთხოვს, აუცილებლად აღუსრულებს). მეუფემ ძალზე მომიწონა ჩანაფიქრი. ბოლნისის სიონის 1500 წლისთავის ზეიმზე პატრიარქის დასაპატიჟებლად სამნი ვიყავით — მეუფე თადეოზი, მამა ბესარიონი და მე. მაშინ ვუჩვენე უწმინდესს ჩემი დახატული ტაძარი. მოიწონა და მშენებლობისთვის კურთხევა მომცა.

მას მერე, აგერ უკვე მეოცე წელიწადი დადგა. ბევრი გამგებელი გამოიცვალა ბოლნისმა. ყოველ მათგანს დანიშვნიდან 2-3 დღის შემდეგ მივადგებოდი და ქადაგად დავარდნილი ვუხსნიდი, მთელი ბოლნისი ოქროში რომ ჩასვა, ამაზე მადლიან საქმეს მაინც ვერ იზამ-მეთქი, მაგრამ ფუჭი დაპირებების იქით, საქმე არა და არ მიდიოდა.

ამასობაში ეპარქიის მწყემსთავრად ახალგაზრდა, ენერგიული მეუფე ეფრემი განამწესეს. ბოლნისშიც, როგორც იქნა, ყურად ილეს ჩემი ვედრება და მთისკენ მიმავალი 800 მეტრი გზა გავჭერით. იქვე მდებარე მეორე მთაზე, მეუფის თქმით, ძალზე რომ ჰგავს გოლგოთას მთას, 20 მეტრი სიმაღლის წმინდა ჯვარი აღვმართეთ. მთას მეუფემ გოლგოთისა უწოდა. ელიას მთამდე კიდევ დარჩა გასაჭრელი 600 მეტრი გზა...

**— ამაზე გაიყინა ეს საშვილიშვილო საქმე?**

— სამწუხაროდ ასეა. ვილას აღარ მივმართე, ნამდვილ მათხოვრად ვიქეცი, მაგრამ ისევ და ისევ, ცრუ დაპირებების გარდა, ვერაფერს გამოვრჩი.

იხ. 8 გვ.

# ჩვენ

● ამ ღვთის სათნო საქმეზე გადაგებულ კაცს ყველაზე მეტად პრეზიდენტის იმედი აქვს. უყოყმანოდ სჯერა, რომ, თუ შეძლო და როგორმე ხმა მიაწვდინა, აუცილებლად დაეხმარება. მისი დახმარება კი, ფაქტობრივად, ტაძრის აგებას ნიშნავს



გოლგოთის მთაზე აღმართული წმინდა ჯვარი; ასეთი იქნება ელიას მთაზე აგებული ტაძარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ღვთის სათნო საქმე

# ბოლნისში, წმინდა ელიას მთაზე, ტაძარი რომ აიგოს

(მეშვიდე გვერდიდან)

**— მერედა, რას აპირებთ?**

— ქართველ ბიზნესმენებს მინდა მივმართო თქვენი გაზეთის მეშვეობით. იმედი მაქვს, გაჭრის.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საჩხერე ააყვავა. სხვა ბევრი სასიკეთოც ქმნა. ჩვენს რაიონში ქვის წარმოება აქვს. ტაძრისათვის გამორჩეულად საჭიროა სწორედ ბოლნისური ტუფი. თუ მოინდომა დახმარება, ჩემს ბედს ძაღლი აღარ დაყეფს.

ბატონი თემურ ჭყონია ხომ ბოლნისელია. ვერა და ვერ მივაწვდინე ხმა. ეგებ, ახლა მაინც გაიგოს. მჯერა, აუცილებლად დაეხმარება მშობლიურ კუთხეს.

ასევე მივმართავ ბატონებს ბადრი პატარკაციშვილსა და გიორგი თოფაძეს...

**— მაინც რა თანხა გჭირდებათ?**

— გზის გასაჭრელად სულ რალაც 30 ათასი ლარია საჭირო. ტაძრის მშენებლობა კიდევ სხვაა. მერწმუნეთ, მილიონები სულაც არ დასჭირდება. დაანგარიშებას წინ რა უდგას? თბილისის წმინდა სამების ტაძრის ხუროთმოძღვარი ბატონი არჩილ მინდიაშვილიც შეპირებულია, ოღონდ გზა გაიყვანეთ და პროექტი ჩემზე იყოსო.

ჰოდა, ყველასა ვთხოვ, ოცდამეერთე წელში ნუღარ გადამატანინებენ ამ უდიდეს ტვირთს. ძალზე მემძიმება, შეთქმული ამ ხნის მანძილზე რომ ვერა და ვერ აღვასრულე. სხვა გზაც არის, მაგრამ...

**— რომელი სხვა გზა?**

— აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელია — ქვემო ბოლნისი. ბევრი წარჩინებული კაცია იქიდან წასული აზერბაიჯანსა და რუსეთში. ერთ-ერთი ასეთთაგანი ჩამოვიდა ამას წინათ რუსეთიდან. სულ რაღაც წელიწადში ააგო ნახევარ მილიონად ღირებული მეჩეთი და წავიდა. ელიას მთაზე სალოცავად აზერბაიჯანელებიც ადიან. ხატისსოფლის წმინდა გიორგისაც მოილოცავენ ხოლმე. ჰოდა, იმ აზერბაიჯანელთან რომ მივსულიყავი, თუგინდ თავს დავდებ, აუცილებლად მომცემდა გზის გასაყვან ფულს, მაგრამ ხომ მოგვეჭრებოდა თავი ქართველებს?!

15 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II შევხვდი. რომ გაიგო, რაღაც მაინც გაკეთებულა, ძალზე გაუხარდა. თანადგომაც აღმითქვა, დამლოცა და ბოლნისური გულსაკიდი ჯვარიც მიძღვნა. 12 ივლისს პეტრე-პავლობაა, ეგებ, მანამდე მოგვესწრო გზის გაყვანა, რათა პატრიარქმა ტაძრის მშენებლობის ადგილი აკურთხოს?

ესაუბრა
**კონსტანტინე გურგენიძე**

*P. S. ამ ღვთის სათნო საქმეზე გადაგებულ კაცს ყველაზე მეტად პრეზიდენტის იმედი აქვს. უყოყმანოდ სჯერა, რომ, თუ შეძლო და როგორმე ხმა მიაწვდინა, აუცილებლად დაეხმარება. მისი დახმარება კი, ფაქტობრივად, ტაძრის აგებას ნიშნავს. იქნებ, ამ ხმის მიწვდენაში მაინც დაეხმაროს ვინმე მიხეილ არველაძეს. თუმცა, ალბათ, უმჯობესია, საამისოდ არც მიდგეს საქმე და, ვისაც შეძლება აქვს, იმათ შეიტანონ თავ-თავისი წვლილი ელიას წმინდა მთაზე პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის აგებაში.*

*კ. გ.*

№ 109. სამშაბათი, 12 ივნისი, 2007 წელი.

◎ კეისარს — კეისრისა

# როდის ვიხილავთ სცენაზე „იბერიელებს“?

## ქართველი კომპოზიტორის საერთაშორისო აღიარება, ანუ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს

**მთელმა ქართულმა კულტურულმა (არა მხოლოდ მუსიკალურმა) საზოგადოებამ იცის, რომ ჩვენ ქალაქში ცხოვრობს და მოღვაწეობს გამოჩენილი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, პროფესორი ფელიქს ღლონტი, რომელიც არის მრავალი დიდტანიანი, მონუმენტური საოპერო, სიმფონიური თუ საკონცერტო-ინსტრუმენტული ჟანრის ნაწარმოების ავტორი.**

მისი ახალი ნაწარმოებების პრემიერები წარსულში, როგორც წესი, ქართული მუსიკალური ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენებად იქცეოდა ხოლმე, როგორც თანამედროვე მხატვრული აზროვნების ნიმუშები.

მით უფრო სავალალოა, რომ უკვე რა ხანია, აღარ მოგვისმენია ფ. ღლონტის არც ერთი ახალი ან თუნდაც ძველი აღიარებული ნაწარმოები.

თქმა არ უნდა, ფ. ღლონტი, ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამ მდგომარეობაშია ბევრი სხვა კომპოზიტორიც და ეს აიხსნება იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით, რომელშიც ქვეყანა იმყოფება უკვე 90-იანი წლების დასაწყისიდან.

მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება არ შევნიშნოთ მუსიკალური ცხოვრების გამოცოცხლების ნიშნები. დროდადრო სრულდება ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებიც, მაგრამ მათ შორის, სამწუხაროდ, ვერ ვხვდებით ფ. ღლონტის დიდი ფორმის ნაწარმოებებს და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პრესაში არაერთგზის გამოთქმულა სურვილი და მოთხოვნა ფ. ღლონტის ნაწარმოებების, კერძოდ კი, მისი მონუმენტური ოპერა-მისტერიის „იბერიელების“ დადგმის შესახებ.

ამავე დროს, ქართველი კომპოზიტორის სახელი სულ უფრო ცნობილი ხდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მის პარტიტურებს მაღალ შეფასებას აძლევენ საზღვარგარეთელი სპეციალისტებიც კი. კომპოზიტორს აჯილდოებენ სხვადასხვა საპატიო წოდებით, ოქროს მედლებით. წერენ მის შესახებ წერილებს. იგი პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის (სანქტ-პეტერბურგი) I პრემიის ლაურეატი ხდება და ა.შ.

ჩვენთან კი საქმე არა და არ იძვრის ადგილიდან. ძალზე დასანანია, რომ საშველი არ დაადგა ოპერა „იბერიელების“ დადგმას, რასაც რეკომენდაცია მისცა თბილისის საოპერო თეატრის სამხატვრო საბჭომ ჯერ კიდევ გამოჩენილი ქართველი დირიჟორის ჯანსუღ კახიძის სიცოცხლეში, რაც დადასტურებულია საბჭოს სათანადო ოქმით.

მე პარტიტურით ვიცნობ ამ დიდებულ ნაწარმოებს და შემიძლია განვაცხადო, რომ მისი დადგმა გახდება ქართული მუსიკალური ცხოვრების ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა.

თქმა არ უნდა, „იბერიელები“ თავისი მასშტაბურობის, ფორმის მონუმენტურობის, ფართო დინამიკური ამპლიტუდის გამო გარკვეულ სიძნელეებს უქმნის მის შემსრულებლებს, მაგრამ ეს არაა ის სიძნელეები, რომელთა გადალახვა შეუძლებელია, პირიქით, თავისი მხატვრულ-შემეცნებითი ღირსებების წყალობით, ეს ოპერა ძალზე მადლიან მასალას აძლევს შემსრულებლებს — მომღერლებს, გუნდს, ორკესტრს და დიდ წარმატებასაც მოუტანს მათ.

ფ. ღლონტის „იბერიელების“ დადგმის საკითხი აღარ ითმენს დაყოვნებასა და გადადებას. ვფიქრობ, ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, საოპერო თეატრი, ქვეყნის ხელისუფლება, კულტურის სამინისტრო.



დღეს, როდესაც ასე მწვავედ დგას ეროვნული კულტურისა და ცნობიერების შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხი, ფ. ღლონტის მონუმენტური ოპერის „იბერიელების“ დადგმა გახდება ეროვნული იდეის ზეობის ნათელ გამოხატულება.

**გთავაზობთ ცნობილი ქართველი და რუსი მოღვაწეების გამონათქვამებს ფ. ღლონტისა და მისი ოპერის შესახებ.**

**საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე:** „იბერიელების“ სახით ჩვენ გვევლინება პირველი ქართული საოპერო ხელოვნების მისტერია-ოპერა, რომელშიც ავტორი აყენებს ეროვნული თვითშეგნებისა და მაღალი ზნეობის პრობლემებს, გაჰყავს ხიდი წარსულსა და თანამედროვეობას შორის.

მე მიმაჩნია „იბერიელები“ გენიალურ მუსიკად, სადაც აზრობრივი განვითარების პროცესი განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის მას არა მარტო წარსულის მიმართ, არამედ ასევე მომავლისათვის, რითაც იგი უაღრესად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და მისი ეროვნული თვითშეგნების მიჯნაზე“.

**მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი ვსევოლოდ ზადერაცკი:** „მისტერია-ოპერა „იბერიელები“ მესახება უაღრესად თანამედროვე ნაწარმოებად, ამ სიტყვის ფართო გაგებით: თემის მხრივაც და მისი გადაწყვეტის სტილისტური მახასიათებლების მხრივაც. ორიგინალური მიგნებები, მდიდარი ახალი სამუსიკო ენა, საოპერო დრამატურგიის ახალი ტიპი, ეპიკური ფურცლების მონუმენტურობა და ლირიზმი, მელოდიური სიუხვე, ყოველივე ეს გამსჭვალულია ეროვნული სამუსიკო ტრადიციის განახლების სულისკვეთებით... უეჭველია, „იბერიელების“ პრემიერა დიდი მოვლენა გახდება ქვეყნის მუსიკალურ და კულტურულ ცხოვრებაში“.

**საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გივი გაჩეჩილაძე:** „მისტერია-ოპერა „იბერიელები“ წარმოადგენს უნიკალურ ფუნდამენტურ ქმნილებას არა მარტო ქართული კლასიკური საოპერო ხელოვნებისათვის, არამედ, საზოგადოდ, თანამედროვე საოპერო ხელოვნებისთვისაც... მისტერია-ოპერა „იბერიელების“ გენიალური მუსიკის შეხამება ბარათაშვილის პოეზიის დონეზეა. ამგვარად, ახალი სინამდვილის ტექნოლოგია, ვფიქრობ, საწინდარი იქნება ქართული მუსიკალური ხელოვნებისა და ეროვნული კულტურის დიდი ტრიუმფისა, რასაც ასე დიდი ხანია ელოდება ჩვენი საზოგადოება“.

**საქართველოს სახალხო არტისტი გიგა ლორთქიფანიძე:** „მისტერია-ოპერა „იბერიელები“ წარმოადგენს ახალ მოდიფიკაციას ძველი ბერძნული ტრაგედიისთვის დამახასიათებელი მუსიკალური თხრობის ანტიფონური ტექნიკის განსახიერებისა. იგი არ ექვემდებარება ტრადიციული საოპერო ჟანრის სქემას. სიუჟეტური დროის დამოკიდებულებანი, შესაბამისობანი და მნიშვნელობები წარმოადგენს „იბერიელების“ პოეტიკის და ერთობლივი მუსიკალური დრამატურგიის აბსტრაქტულ კატეგორიას. ის ასევე წარმოადგენს მისი საოცარი მუსიკალური დრამატურგიის ზოგად პრინციპსაც, არა უბრალო ასახვისას, არამედ, მის შემეცნებას. ოპერა-მისტერიის მუსიკა გენიალურია“.

**როგორც ვხედავთ, ბატონ ფ. ღლონტს, როგორც კომპოზიტორს და შესანიშნავი ოპერის — „იბერიელების“ ავტორს, უმაღლესი შეფასება მისცეს ესოდენ ავტორიტეტულმა და პატივსაცემმა პიროვნებებმა. რამდენჯერმე იყო ნახმარი სიტყვა „გენიალურიც“ კი, რაც უპრეცედენტოა ჩვენ სინამდვილეში.**

**ვფიქრობ, რომ ასეთი აღმატებული შეფასება კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ამ ნაწარმოების მაღალი მხატვრულ-იდეური ღირსებებისა და მისი დადგმის აუცილებლობის შესახებ.**

**ვფიქრობ, აგრეთვე, არავინ შემოგვედავება იმაში, რომ ქართული ეროვნული კულტურის ინტეგრირება მსოფლიოს გლობალურ კულტურულ პროცესებში ჩვენი ერთ-ერთი საერთო ზეამოცანაა, რომლის მიღწევაშიც სხვა მხატვრულ ფენომენებთან ერთად ფ. ღლონტის „იბერიელები“ დიდად შეგვიწყობს ხელს.**

**გულბათ ტორაძე,**
**პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე**

**სურათზე:** კომპოზიტორები (მარცხნიდან) იგორ სტრავინსკი, ვლადიმერ ფერე და ფელიქს ღლონტი.

ისე, მართლაც უცნაური რამაა წუთისოფელი. სიძულვილმაც კი შეიძლება შვას ისეთი ძლიერი სიყვარული, რომელიც თაობებს გადასწვდება ხოლმე...



◎ მოულოდნელი რაკურსით

# ხალიდ ჯაბიევის სამუდამო ნავსაყუდელი

***ყოველი** სასაფლაო ნებისმიერი ადამიანისთვის დარდების ამშლელი ადგილია, სადაც შეხეტებულს უხვად მოგეძალება ხოლმე ცხოვრების ამაოების დამთრგუნავი აზრი. ნაღვლიანად იმზირებიან გაბროსა და ლაბრადორიტის ქვებში გამოკვეთილი შრომითა და დარდით დაქანცული ადამიანების სახეები. ამას წინათ მეგობრებმა მოვინახულეთ სოფელ ანაკლიის სასაფლაო, სადაც ჩვენი ახლობლები განისვენებენ. კარგად ვიცით ანაკლიის ისტორია და სასაფლაოზე მოხვედრისთანავე უპირველესად ის გავიფიქრეთ, რომ აქ დაკრძალვა ალბათ ნატვრად და აუხდენელ ოცნებად გაჰყვა საკუთარი არაკაცი თანამემამულეების მიერ დატყვევებულ და შორეულ ქვეყნებში მონად გაყიდულ უამრავ ქართველს, რადგან, შუა საუკუნეებში, სწორედ ანაკლიაში უშვებდნენ ღუზას ის თურქული ფელუკები, რომლებიც ლამის XIX საუკუნის დასასრულამდე ჭეშმარიტად „ძვირფასი საქონლით" — ულამაზესი ქართველი გოგონებითა და ჯანმაგარი ბიჭებით ამარაგებდნენ სტამბოლის მონათა ბაზარს. მაგრამ, ანაკლიაში, ერთი უბრალო საფლავის ხილვისას, ის აზრი დამეუფლა, რომ ღმერთმა, მრავალი გადახვეწილი თანამემამულის სანაცვლოდ და გულის მოსაოხებლად, საკუთარი სამშობლოდანაც გადმოხვეწა ჩვენთან ჭეშმარიტი მაჰმადიანი ადამიანი და თავისი სამშობლოს პატრიოტი, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატა საკუთარ რელიგიურ და მოქალაქეობრივ მრწამსს, თუმცა, ამავდროულად, ქრისტიანული რელიგიისა და ქართული ეროვნული სულისკვეთების ღრმა პატივისმცემლად დარჩა. ცხოვრების ამგვარი საბედისწერო პერიპეტიების გონებაში გადახარშვა რთულ განცდებს ბადებს და გულს იმით მიოხებს, რომ ღმერთმა საქართველოდან მონებად და მამელუქებად გაყიდული ხალხის სანაცვლოდ ჩვენც გვიბოძა საქართველოში გადმოხვეწილი, მუდამ საკუთარი სამშობლოს ნატვრით გულდამძიმებული ადამიანები.*

**იგი** არ გახლდათ დიდი სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პოლიტიკური მოღვაწე. უფრო მეტიც, ფიზიკური შრომისგან ჯანდაშრეტილმა ადამიანმა საერთოდ არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა, მაგრამ საქართველოსთვის გააკეთა ის, რასაც, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ქართველი ვერ აკეთებს — საქართველოსა და ქართველი ერის გულმხურვალე პატრიოტებად და პატიოსან მოქალაქეებად გაზარდა შვიდი შვილი.

კარგად დავფიქრდეთ და ხელის თითებზე დავითვალოთ — რამდენ ქართველს შეუძლია გაეჯიბროს საქართველოსა და ქრისტიანობის სიყვარულში ასეთ ადამიანს?

მძიმე წარსულის მქონე ქართველი კაცი მისი სამშობლოს მაჰმადიან დამპყრობს, არცთუ იშვიათად, საყვედურით ეუბნებოდა:

**ჩემს ქართველობას**
**რას ერჩი,**
**რად მართმევ ქრისტეს**
**ჯვარსაო!**

(სამწუხაროდ, დღეს ეს საყვედურის სიტყვები რწმენაშერყვნილ იელოველებს და საქართველოში მოძალებულ სხვადასხვა ჯურის სექტანტებს უფრო ეკუთვნით, ვიდრე ქრისტიანობისგან განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლებს).

ხალიდ ჯაბიევმა კი მაშინ დაამსხვრია ჯვართან ბრმად მებრძოლი მუსულმანის სტერეოტიპი, როცა 1955 წლის აღდგომის ერთ მზიან დილას თავის ლაზური წარმოშობის მეუღლეს, ქალბატონ ჰურიეს უთხრა:

— დღეს ხომ დიდი ქრისტიანული დღესასწაულია, რომლისადმი პატივის მიგება ყველას ვალია! შეუღებე ბავშვებს ქათმის კვერცხები წითლად, რათა თავიანთ თანატოლებს ქრისტიანული წესების დაცვით მიესალმონ.

დღესაც საოცარი სითბოთი მოგვითხრობს ამ ამბავს ჯაბიევების ოჯახის თითოეული წევრი, სიამოვნებით იხსენებენ, თუ როგორი გაოცებით უყურებდნენ აღდგომის დილას მათი მეზობლები მუსულმანი ხალიდის მცირეწლოვან შვილებს, რომლებიც წითლად შეღებილი კვერცხებით დარბოდნენ თანატოლ ბავშვებს შორის. თვალებს არ უჯერებდნენ ანაკლიელები, პირჯვარის გამოსახვით გულმხურვალედ ლოცავდნენ ხალიდის შვილებს.

თავისებურ ადამიანად მოიხსენიებენ შვილები ხალიდ ჯაბიევს. იგი საქართველოსთან ახლოს, აზერბაიჯანის ქალაქ ყაზახის რაიონში მდებარე სოფელ ტაშსალახლიში დაიბადა. მძიმე ბედი ერგო ბავშვობაში, რადგან მამამისი რუსტამი და კიდევ სოფლის სამი მოსახლე, როგორც შრომისმოყვარე და შეძლებული გლეხები, 1921 წელს, ყაზახში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებისთანავე, კულაკობის ბრალდებით „ამხილეს" მათმა მეზობლებმა და მილიციამ საკუთარ ეზოში დახვრიტა. მაშინ ხალიდი ათი წლის იყო. კიდევ ათი წელი გავიდა და ხალიდმა შური იძია — მამამისის მკვლელებს სასტიკად გაუსწორდა და ტყეში გავიდა. მართლაც, დოლაბი არ დატრიალებულა ამ კაცის თავზე, თორემ მისი თავგადასავალი თითქმის დაუჯერებელია.

შემდეგ იყო დიდი სამამულო ომი, ხალიდის ტყიდან გამოსვლა, ხელისუფლებასთან შერიგება და ფრონტზე წასვლა. სტალინგრადთან მძიმედ დაიჭრა, 1944 წელს დემობილიზაციის შემდეგ, ანაკლიის სამხედრო ჰოსპიტალში იმკურნალა. სწორედ აქ მიიღო გადაწყვეტილება, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი შემდგომი ბედი. იცოდა, რომ აზერბაიჯანში მოსისხლეები მის ოჯახს საშველს არ მისცემდნენ, ამიტომ, გადაწყვიტა საცხოვრებლად საქართველოში დარჩენა და ლაზ ქალიშვილ ჰურიეზე იქორწინა. შვიდი შვილი გაუზარდა საქართველოს, ექვსი სახელოვანი ვაჟკაცი და ერთი ქალიშვილი, რომლებიც პატიოსანი შრომით არჩენენ ოჯახებს და ზრდიან შვილებს.

უფროსი შვილი რუსტამი ბაქოში ცხოვრობს, მომდევნო — ჯავი მამის სიყვარულმა ყაზახის რაიონის სოფელ ტაშსალახლიში დაასახლა, ზაალი ვილნიუსშია, გულნაზი სარფშია გათხოვილი, ასლანი როსტოვში ცხოვრობს, გენადი კი — თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში. იგი წარმატებული ბიზნესმენია და ხშირად უწევს საქართველოს უანგარო დახმარებას.

ჯაბიევებში ყველაზე უმცროსი — თეიმურაზი თბილისში ცხოვრობს მეუღლესთან და შვილებთან ერთად.

— მართალია ჩემს ძარღვებში მუსულმანური სისხლი ჩქეფს, მაგრამ მე ქართველი ვარ, რადგან მშობლებმა ქართველად გამზარდეს. ბუნებრივია, ჩემი შვილებიც ქართველები არიან! — მითხრა ერთხელ თეიმურაზმა, — იცით, რას ამბობს ჩემი ძმა ჯავი, რომელიც აზერბაიჯანში ცხოვრობს? მე სისხლით აზერბაიჯანელი ვარ, მაგრამ სულით ქართველად ვთვლი თავს, რადგან მამაჩემიც სულით ქართველობდაო.

სამართლიანი, შეუპოვარი და უშიშარი კაცი იყო ხალიდ ჯაბიევი. იგი არც სიკეთეს დაუვიწყებდა ვიმნეს, მაგრამ, არც ავკაცობას აპატიებდა. ამის დასტური გახლავთ მისი ზებუნებრივი ძალა, რადგან, ოთხმოცი წლის მოხუცმა, სამეგრელოს რეგიონზე შევარდნაძის მიერ შესეული მხედრიონელი ბანდიტების თარეშისას შეძლო მის სახლში შევარდნილი რამდენიმე ბანდიტის მოგერიება და განიარაღება, შემდეგ კი თავად დაიცვა ისინი ადგილობრივი მოსახლეობის რისხვისაგან, რომლებიც მზად იყვნენ შუაზე გაეგლიჯათ ნარკომანი არამზადები.

სიკვდილის წინ ხალიდმა უმცროსი შვილი იხმო და უთხრა: „რამდენჯერმე გადავწყვიტე აზერბაიჯანშიგადაბარგება, მაგრამ თქვენი გულისათვის არ გავაკეთე ეს — აქაურ ხალხში გაზრდილებს იქაურებთან შეგუება გაგიჭირდებოდათ. ვერც მე მივატოვე საქართველო, რომელმაც ღვიძლიშვილივით მიმიღო, მომიარა, ფეხზე დამაყენა და საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა. ამიტომ ვთვლი, რომ ჩემს სამშობლოში ვკვდები, თუმცა ჩემი დარდი ყოველთვის აზერბაიჯანი იყო და ეს დარდი დღესაც მიხრავს გულს. უბედური სიყმაწვილე მქონდა — ტყეში წანწალი და წამება იყო მთელი ჩემი ახალგაზრდული ყოფა, მაგრამ კაცობის წესისა და რიგისთვის არასოდეს მიღალატნია. ახლა, ალაჰის ნებით, ყველაფერი თავიდან რომ დაიწყოს, მაინც ცხოვრების იმ გზას ავირჩევდი, რაც ესოდენ ტანჯვითა და წამებით გავიარე. სიბოროტე არასოდეს მამოძრავებდა. თუ რამ დანაშაული ჩავიდინე, სხვები მიბიძგებდნენ მისკენ. მაგრამ, არც ის არის დიდი საიდუმლო, რომ მოკლულებიც და მკვლელებიც იმქვეყნად ერთად იყრიან თავს. რა პირითაც მამაჩემის მკვლელები წარდგენ მის წინაშე, ზუსტად ისეთი პირით წარვსდგები მე ჩემს მიერ დახოცილი ხალხის წინაშე. სწორედ ეს მამშვიდებს, როცა ძლივს ვუყრი თავს აზრებს, რათა დაგლოცოთ და ისე დაგტოვოთ ამ ცოდვილ დედამიწაზე..."

* * *

**იმას** მოგახსენებდით, ანაკლიის სასაფლაოზე შევეხეტეთ-მეთქი. ერთ უბრალო საფლავთან გავჩერდით, რომელსაც აწერია „ხალიდ ჯაბიევი. დაიბადა 1911 წელს, გარდაიცვალა 1992 წელს". მხოლოდ ეს მწირი, რამდენიმესიტყვიანი ინფორმაცია მიუთითებს, რომ ანაკლიის სასაფლაოზე მარხია არა ვინმე ეთნიკური ქართველი, არამედ მუსულმანი სამყაროდან ბედის უკუღმართობის გამო გარდმოსული, მოსისხლეთა სიძულვილს გარიდებული, საკუთარი უბედური ყოფისა და სამუდამოდ დაკარგული სამშობლოს დარდით გულგამოხრული ადამიანი.

ისე, მართლაც უცნაური რამაა წუთისოფელი. სიძულვილმაც კი შეიძლება შვას ისეთი ძლიერი სიყვარული, რომელიც თაობებს გადასწვდება ხოლმე...

აქვე ვაცნობებ მკითხველს, რომ რამდენიმე თვეში ცალკე წიგნად გამოვა ხალიდ ჯაბიევის საინტერესო ბიოგრაფია.

**როლანდ ჯალაღანია**

◎ მოვლენა

# ღვთისმშობლის კვართი ზუგდიდში დაივანებს

**სრულიად** საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბოლო 17 წლის შემდეგ პირველად ეწვია ზუგდიდს. მან საპატრიარქოს ქველმოქმედ ქალთა ფონდის ხელშეწყობითა და უშუალო ხელმძღვანელობით რჩეული ოსტატ-ხელოვნებათმცოდნეების მიერ დამზადებული ძვირფასი თვლებით შემკული და ოქროვერცხლით დაფერილი ჩასაბრძანებელი კიდობანი — ლუსკუმი ჩამოიტანა მუზეუმში შენახული საეკლესიო სიწმინდეებისათვის.

ეს ძვირადღირებული კიდობანი შვიდი წლის განმავლობაში მზადდებოდა კოკო დადიანის ესკიზის მიხედვით, რომლის დამზადება ქველმოქმედ ქალთა ფონდმა უზრუნველყო ფინანსურად. ფონდის წევრები საუკეთესო რელიგიურ ნივთებს სწირავდნენ ამ საქმეს. მისი ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო ფონდის ხელმძღვანელი ქ-ნი ქეთევან ჭუბაბრია.

კარგადაა ცნობილი, რომ საეკლესიო სიწმინდეები თავის დროზე რჩეულმა მამულიშვილებმა გამოარიდეს ბოლშევიკებს და შეინახეს იმხანად ახლადაარსებულ „სამეგრელოს მუზეუმში", რომლის მემკვიდრეცაა დღევანდელი ზუგდიდის საისტორიო მუზეუმი.

ზუგდიდის ადგილობრივი ხელისუფლება მზადაა, მუზეუმში არსებული ყველა სიწმინდე საეკლესიო უფლებამოსილებით გადასცეს საქართველოს საპატრიარქოს.

ილია მეორის ჩამობრძანებას დიდი ინტერესითა და სიყვარულით შეხვდა სამეგრელოს მრევლი. კათალიკოს-პატრიარქმა საქართველოს ყველა ეპარქიის ეპისკოპოსების თანხლებით წირვა-ლოცვა აღავლინა ზუგდიდის საკათედრო ტაძარში. ამასთან ერთად, მან მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: ოთხ ეპისკოპოსს მოუმატა ხარისხი და მიანიჭა მიტროპოლიტის წოდება. ამ ოთხეულში არიან ზუგდიდი-ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე; ხობი-ფოთისა — გრიგოლი; ბათუმი-ქობულეთისა — დიმიტრი და შემოქმედის ეპისკოპოსი იოსები. ილია მეორის ლოცვაკურთხევით დეკანოზები გახდნენ მღვდლები: ილარიონ შენგელია, ანდრია ლიპარტია, გალაქტიონ ფიფია და ამბროსი თორდია, რომლებიც დაჯილდოვდნენ ბრწყინვალე ოქროს მედლებით.

პატრიარქმა ჩვეული სიბრძნით იქადაგა მრევლის წინაშე, კიდევ ერთხელ დამოძღვრა სრულიად საქართველო, თუ როგორ უნდა იცხოვროს და ილვაწოს საქართველოს ხალხმა მამულის გამთლიანებისა და აღორძინებისათვის. მან აღნიშნა ისიც, რომ, ამაში როგორც ყოველთვის, დღესაც განსაკუთრებული როლი აკისრია სამეგრელოს, რომელმაც წარსულში ძნელბედობის ჟამს არაერთხელ თქვა თავისი სიტყვა. ამის მაგალითად დაასახელა გიორგი ჭყონდიდელი, ცოტნე დადიანი, ამბროსი ხელაია და სხვა ღირსეული მამულიშვილი.

კათალიკოს-პატრიარქმა ტაძარში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩაატარა. მან იქვე ბრძანა, რომ ქრისტიანული პატრიოტიზმის სიწმინდე — ღვთისმშობლის კვართი სამუდამოდ დაივანებს ზუგდიდში, რასაც ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის მრევლი დიდი სიხარულით შეხვდა და მადლობის ნიშნად დიდი ხნის სიცოცხლე და მოღვაწეობა უსურვა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს.

**ოდიკ ძუხილავა,**
**„სრ" საკ. კორ.**

№ 109. სამშაბათი, 12 ივნისი, 2007 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური პრესა

● პუტინისა და სააკაშვილის საუბარს ჰქონდა პოზიტიური და გულახდილი ხასიათი, რასაც მოწმობს კიდეც შეხვედრის დასაწყისში მხარეების მიერ გამოთქმული პირველივე ფრაზები

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## პუტინი და სააკაშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროებს ორი ქვეყნის ურთიერთობის სტაბილიზებას დაავალებენ



რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და მისმა ქართველმა კოლეგამ მიხეილ სააკაშვილმა სანკტ-პეტერბურგის შეხვედრის დროს მონიშნეს ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას ორმხრივი ურთიერთობის სტაბილიზაციის გზაზე.

„პრეზიდენტებმა აღნიშნას, რომ თავიანთ საგარეო საქმეთა სამინისტროებს დაავალებენ ერთობლივი მუშაობის განხორციელებას, რომლის მიზანიც იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობის სტაბილიზება“, – განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრეს-მდივანმა ალექსეი გრომოვმა.

როგორც მან თქვა, პუტინისა და სააკაშვილის საუბარს ჰქონდა პოზიტიური და გულახდილი ხასიათი, რასაც მოწმობს კიდეც შეხვედრის დასაწყისში მხარეების მიერ გამოთქმული პირველივე ფრაზები.

გრომოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა საჭიროდ მიიჩნია სააკაშვილისთვის გაეცნო იმ დისკუსიის შედეგები, რომლებიც გაიმართა „დიდი რვიანის“ ჰაილიგენდამის სამიტზე კოსოვოსთან დაკავშირებით.

პუტინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის მხარის პოზიცია კოსოვოს პრობლემის თაობაზე პოსტსაბჭოურ სივრცეში მსგავსი სიტუაციების არსებობის გათვალისწინებით.

РОСБАЛТ

*მაისის დამდეგს საქართველოში განახლდა 13 ოპოზიციონერ პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფის სასამართლო პროცესი, რომლებიც გასული წლის სექტემბერში დააპატიმრეს „საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით შეცვლის, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის ან მისი ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების“ ორგანიზების ბრალდებით.*

*„შეთქმულები“ არიან: „სამართლიანობის“ პარტიის თანათავმჯდომარე მ. თოფურია, საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის ლიდერი თ. ჟორჟოლიანი, პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს მოძრაობის“ ლიდერი ვ. ტალახაძე, „ქართველი ხალხის უფლებებისათვის“ მოძრაობის ლიდერი ზ. დავითაია, პარტია „სამართლიანობის“ გენერალური მდივანი გ. მეტრეველი, პარტია „სამართლიანობის“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე რ. სამნიძე, პარტია „სამართლიანობის“ სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის წევრი გ. ახობაძე, პარტია „სამართლიანობის“ პოლიტიკური მდივანი რ. ბულია, პარტია „სამართლიანობის“ ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარე ი. კვინიკაძე, „ანტი-სოროსის“ მოძრაობის ხელმძღვანელი მ. ნიკოლეიშვილი, აგრეთვე პარტია „სამართლიანობის“ აქტივისტები გ. პაპუკაშვილი, ვ. გალდავა, კ. ქანთარია.*

## ეროვნული სასამართლო წარმოების თავისებურებანი

ოთხ მათგანს – რ. სამნიძეს, თ.ჟორჟოლიანს, მ. თოფურიას და კ. ქანთარიას წაყენებული ბრალდება შეუცვალეს კიდევ უფრო სერიოზულით – „კანონიერი ხელისუფლების დამხობის მიზნით შეიარაღებული აჯანყების მომზადება“. გარდა ამისა, მ. თოფურიას და კ. ქანთარიას ბრალად ედებათ იარაღის უკანონოდ შესყიდვა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსასჯელთა მოქმედება შეფასებულია როგორც „სამშობლოს ღალატი“, რაც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 5-დან 15 წლამდე ვადით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქმეს აშკარად ანტირუსული ქვეტექსტი აქვს. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით, გადატრიალების განხორციელება იგეგმებოდა იმ ფულით, რომელიც შეთქმულებმა მიიღეს რუსეთიდან პარტია „სამართლიანობის“ ლიდერის, საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის იგორ გიორგაძისგან.

მაგრამ საქმე მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. როგორც საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავენ, თვალსაჩინო ოპოზიციური მოღვაწეები დააპატიმრეს 2006 წლის შემოდგომაზე, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნების გამართვის წინ. ანალიტიკოსთა აზრით, ოპოზიციის დარბევა და ქვეყანაში აგორებული ჯაშუშომანიის კამპანია – სხვადასხვა დარღვევებთან და კენჭისყრის დროს არაერთ გაყალბებასთან ერთად – გახდა კიდეც ამ არჩევნებში პროსამთავრობო ძალების „გამარჯვების“ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ყველაფერი, როგორც იტყვიან, სააშკარაოზე იყო გამოტანილი და იმისთვის, რომ საქმე „არ ჩაშლილიყო“, მასალათა საიდუმლოებისა და მოწმეთა უშიშროების უზრუნველყოფის საბაბით, სასამართლო პროცესი დახურული რეჟიმით მიმდინარეობს. ბრალდებათა დამტკიცების ბაზაც, მეტი რომ არ ვთქვათ, „მთლად სრულყოფილი ვერ არის“. საქმე, მნიშვნელოვანწილად, ეფუძნება ერთ-ერთი განსასჯელის – „ანტი-სოროსის“ მოძრაობის ხელმძღვანელის მ. ნიკოლეიშვილის აღიარებას, რომელიც დათანხმდა გამოძიებასთან თანამშრომლობას, აგრეთვე კიდევ რამდენიმე მოწმის ჩვენებებს, და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ეს ჩვენებები ანონიმურია. ყოველივე ეს ძალზე მოგვაგონებს 1937 წელს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადეს პროცესში მონაწილე ამერიკელმა ადვოკატებმა მ. სარაფამ და ლ. ბარსელამ, „შეერთებულ შტატებში საერთოდ არ მიიღებდნენ წარმოებისთვის ასეთ სარჩელს მტკიცებულებათა უკმარისობის გამო“.

მათი აზრით, სასამართლო პროცესის დახურვა არის „ალმაშფოთებელი ფაქტი და დაპატიმრებულთა, საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა, რაც მოწმობს იმას, რომ „საქართველო ჯერ კიდევ ძალზე შორს დგას ჭეშმარიტი დემოკრატიისგან“.

დანარჩენი 12 განსასჯელი მ. ნიკოლეიშვილს ცრუ მოწმეს უწოდებს. მაგრამ უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა ნიკოლეიშვილს არ მოუწევს, რადგან სასამართლომ იგი არა მარტო გაათავისუფლა არცთუ ისე დიდი საწინდრის შეტანის შემდეგ (დაახლოებით 5,5 ათასი ამერიკული დოლარი), არამედ იმის ნებაც კი მისცა, რომ პირადად არ დასწრებოდა სასამართლო სხდომებს თუ არ წარმოიქმნება ამის „განსაკუთრებული აუცილებლობა“. თუმცა, მ. ნიკოლეიშვილის ადვოკატი არ მალავს, რომ ვერ ახერხებს მასთან დაკავშირებას, და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ნიკოლეიშვილმა დატოვა საქართველოს ფარგლები, რაც ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, აკრძალულია ხოლმე.

დაპატიმრებულთა უფლებები იმთავითვე სისტემატურად ირღვეოდა. 2006 წლის 6 სექტემბერს, ოპოზიციონერთა დაპატიმრებიდან სულ რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ, პარლამენტარებმა გ. თარგამაძემ, გ. ბოკერიამ და ნ. რურუამ ტელევიზიით გამოსვლისას დაწვრილებით ილაპარაკეს სისხლის სამართლის საქმის დეტალებზე და განაცხადეს, რომ დაპატიმრებულები დამნაშავეები არიან და მკაცრად უნდა დაისაჯონ. ამით უხეშად დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმპცია.

განსასჯელთა მტკიცებით, გამოძიება სთავაზობდა, რომ თავისუფლების სანაცვლოთ მიეცათ აღიარებითი ჩვენებები და დაეწამებინათ ცილი დანარჩენებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ადამიანებს უფრო მძიმე ბრალდებებით ემუქრებოდნენ. რა თქმა უნდა, ასეთი წინადადებებით განსასჯელებს მიმართავდნენ, როგორც წესი, მაშინ, როცა მათ გვერდით არ იყვნენ ადვოკატები.

განსასჯელების ნათესავებს კი ურჩევდნენ, რომ დაპატიმრებულებს ეღიარებინათ დანაშაული და ეთხოვათ პატიება პრეზიდენტისთვის. ზემოქმედებას ახდენდნენ მოწმეებზეც. მაგალითად, თ. ჟორჟოლიანის მკურნალ ექიმს – ნ. დოლიძეს სთხოვდნენ დაედასტურებინა, რომ მის პაციენტს, რომელიც საავადმყოფოში გადიოდა მკურნალობის კურსს, შეეძლო შეუმჩნევლად დაეტოვებინა სამკურნალო დაწესებულება და მიეღო მონაწილეობა „შეამბოხეთა“ საიდუმლო კრებებში.

სხვადასხვა საბაბებით იზღუდებოდა განსასჯელთა უფლებებიც. კერძოდ, მათ უკრძალავდნენ ამანათების მიღებას, საპყრობილეს ეზოში სეირნობას და ციხის ეკლესიაში მისვლას, აგრეთვე სამედიცინო დახმარების გაწევას, კონტაქტებს ნათესავებთან და ადვოკატებთან, არ აძლევდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის საშუალებას. განსასჯელებს ეკრძალებოდათ გაცნობოდნენ „საიდუმლო მოწმეთა“ ჩვენებებს. თუმცა, კანონის თანახმად, „გასაიდუმლოებული“ შეიძლება იყოს მოწმე, მაგრამ არა მის მიერ მიცემული ჩვენება.

ოფიციალური სამართალდამცავი სტრუქტურები ფაქტობრივად იგნორირებენ ამ საქმეს. მხოლოდ ერთხელ, და ისიც ადვოკატების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, მოინახულა საპყრობილეში ვ. ტალახაძე და თ. ჟორჟოლიანი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ე. თევდორაძემ. ამ ვიზიტს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. უპასუხოდ დარჩა ასევე განსასჯელთა თხოვნა საქართველოს სახალხო დამცველთან შეხვედრის შესახებ.

სასამართლოს დაწყების წინ ბრალდებულთა ნათესავებმა რუსეთის საელჩოს გადასცეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სახელზე გაგზავნილი წერილი, აგრეთვე მიმართვები, რომელთა ადრესატები არიან რუსეთის სამართალდამცავი ორგანიზაციები და მსოფლიო გაერთიანება. ამ წერილების ავტორები გმობენ „შეთითხნილ ბრალდებებს“ და აღნიშნავენ, რომ სინამდვილეში საქმე ეხება პოლიტიკურ რეპრესიებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არ ეთანხმებიან „მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის“ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საქართველოს მთელმა რიგმა ოპოზიციურმა პარტიებმა გამოუცხადეს მხარდაჭერა განსასჯელებს, მოაწყვეს საპროტესტო აქციები, რომელთა დროსაც მოითხოვდნენ, რომ სასამართლო პროცესი იყოს ღია და საჯარო. იმის გამო, რომ პროცესის დახურვა არღვევს საქმის სამართლიან გარჩევასთან დაკავშირებით ბრალდებულთა უფლებებს, აღშფოთება გამოთქვა „ჰიუმან რაიტს უოტჩმაც“. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის აზრით, საქართველომ „მის მიერნაკისრი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებების თანახმად, უნდა დაამტკიცოს ასეთი უკიდურესი ღონისძიების აუცილებლობა და საჯაროდ გამოაცხადოს, თუ რატომ არ მიმართეს სხვა ზომებს, მაგალითად ისეთს, როგორიც არის სასამართლო პროცესის ნაწილობრივ დახურვა ან მოწმეთა დაცვა“.

მაგრამ უკვალოდ არაფერი ქრება. ფრიად საგულისხმოა ამ ცოტა ხნის წინათ ქართული გაზეთის „კვირის პალიტრის“ მიერ გამართული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები. კითხვას „ენდობით თუ არა სასამართლო სისტემას?“ რესპონდენტთა 53,7 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა და მხოლოდ გამოკითხულთა 2,6 პროცენტმა უპასუხა მას დადებითად.

**სერგეი ვლადიმეროვი**

**РОССИЙСКИЕ ВЕСТИ**

№ 109. სამშაბათი, 12 ივნისი, 2007 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



• ვაშინგტონს მზად აქვს ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელების გეგმა



# ამერიკელებს ირანის ბლოკადის და ამ ქვეყანაზე იერიშის მიტანის გეგმა მზად აქვთ

**ვაშინგტონს** მზად აქვს ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ისლამურ რესპუბლიკაზე საჰაერო შეტევის მიტანას და მისთვის ნავთობის ბლოკადის გამოცხადებას. ამ გეგმაში მთავარი როლი განეკუთვნება სამხედრო-საზღვაო ფლოტს. თავის მხრივ, თეირანი იმუქრება, რომ ომის ქაოსში ჩაითრევს მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, თუ ამერიკელები მიიტანენ იერიშს მის ბირთვულ ობიექტებზე.

გაზეთი The Jerusalem Post შეერთებული შტატების არმიის მაღალჩინოსანი ოფიცრების გამონათქვამზე დაფუძნებით იტყობინებოდა, რომ ამერიკელთა გაანგარიშებით, ირანი უკვე სამი წლის განმავლობაში შეძლებს ბირთვული ომის შექმნას და პენტაგონი მხარს უჭერს პრეზიდენტ ბუშის მოსაზრებას, რომელიც აპირებს



ილონოს ყველაფერი იმისთვის, რომ შეაჩეროს ირანის ბირთვული პროგრამა. როგორც გაზეთის წყაროა დარწმუნებული, „დამატებითი მკაცრი ნაბიჯები“ ამისთვის აუცილებელი იქნება.

კვირას სენატორმა ჯოზეფ ლიბერმარმა გაუსვა ხაზი ირანზე თავდასხმის მიტანის კიდევ ერთ შესაძლო საბაბს – თეირანი მხარს უჭერს მეზობელ ერაყში მოქმედ ამბოხებულებს. „ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ირანელთა წინააღმდეგ აგრესიული სამარი მოქმედებისთვის, რათა აღვკვეთოთ ამერიკელების დაღუპვა ერაყში... ჩემი აზრით, ასეთი თავდასხმა უნდა მოიცავდეს საავიაციო დარტყმებს საზღვრისპირა ბაზებზე, სადაც ირანელები წვრთნიან მოთარეშეებს, რომლებსაც აბრუნებენ ერაყში ჩვენი ჯარისკაცების დასახოცად“.

გაზეთის წყარო შეეხო ასევე ირანის ნავთობის ბლოკადის სქემასაც. იმ მიზნით, რომ ირანს არ ჰქონდეს ამერიკელთა გემებზე თავდასხმის შესაძლებლობა, ამ ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში ამერიკული ხომალდები არ შევლენ. მაგრამ შორეულ მისადგომებთან შეერთებული შტატების ფლოტი „უკან გააბრუნებს“ ყველა ტანკერს, რომლებიც აილებენ გეზს ირანის ნავსადგურებისკენ ნავთობის გამოსატანად. ეს ნედლეული ისლამური რესპუბლიკის ექსპორტის ძირითადი წყაროა და ასეთი ბლოკადა ძალზე ეფექტიანი უნდა იყოს.

ბრიტანული ყოველკვირეული The Sunday Times კი აქვეყნებს ირანელი ადმირალის, აიათოლა ალი ჰამენეის თავდაცვის საკითხთა მრჩევლის ალი შამჰანის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც იმუქრება, რომ ომის ქაოსში გახვევს მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, თუ ამერიკელები მიიტანენ იერიშს ირანელთა ბირთვულ ობიექტზე.

ირანელი ადმირალი, უწინარეს ყოვლისა, ემუქრება სპარსეთის ყურის ყველა იმ ქვეყანას, რომლებიც ამერიკელ სამხედროებთან თანამშრომლობენ – ყატარი, ბაჰრეინი, ომანი, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბული საამიროები და ქუვეითი. როგორც იგი აცხადებს, ირანზე თავდასხმის შემთხვევაში, საპასუხო თავდასხმის ობიექტები გახდებიან არა მარტო ამერიკელთა სამხედრო ბაზები, არამედ ისეთი სტრატეგიული სამიზნეებიც, როგორიც არის ელექტროსადგურები და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები.

ირანელი ადმირალი, რომელსაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ეკავა ისლამური რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პოსტი, ამასთან აღნიშნავს, რომ ირანის კონტრშეტევის მთავარი სამიზნე გახდება ისრაელიც. როგორც ალი შამჰანი ამტკიცებს, ირანის სარაკეტო ჯარებს შეუძლიათ „გაანადგურონ ამერიკელთა სარაკეტო თავდაცვის სისტემები“. ირანის არმია მზად არის ერთდროულად გაუშვას ასობით რაკეტა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სხვადასხვა სამიზნეების მიმართულებით, ამტკიცებს ადმირალი.

ბრიტანულ ყოველკვირეულს მოჰყავს ასევე მეორე ირანელი სახელმწიფო მოხელის გამონათქვამი, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა. იგი, კერძოდ, აცხადებს: „შეერთებული შტატები ისევე გაკვირვებული დარჩება ირანის თავდაცვისუნარიანობით, როგორც ისრაელი გააკვირვა „ჰესბოლამ“ გასული წლის ზაფხულში, ლიბანში ომის დროს“. ამ წყაროს თქმით, ამერიკელთა შეტევის დაწყებიდან უკვე ერთი საათის შემდეგ, დასახულ სამიზნეებზე იერიშში ჩაებმებიან ტერორისტული ორგანიზაციების მოთარეშეებიც.

## ბულგარეთი სარაკეტო თავდაცვის სისტემებს ითხოვს

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ბულგარეთს ეწვია. როგორც მოელიან, სოფიაში მოლაპარაკების მთავარი თემა იქნება აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკული სარაკეტო თავდაცვის სისტემების განლაგების გეგმები.**

ვაშინგტონი განიხილავს ჩეხეთში რადიოსალოკაციო სადგურის და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო გასაშვები შახტების განლაგების გეგმებს. ბულგარეთი კი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ამერიკელთა გეგმებში მისთვის არ გამოინახა ადგილი.

ვაშინგტონის ამ გეგმებმა უკვე გამოიწვია მოსკოვის დიდი გაღიზიანება. გერმანიაში ეგრეთ წოდებული „რვა დიდი ქვეყნის“ სამიტის გახსნამდე მცირე ხნით ადრე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კომპრომისული წინადადებით მიმართა თავის ამერიკელ კოლეგას, რომელიც გულისხმობს ამ ორი ქვეყნის მიერ აზერბაიჯანში არსებული გაბალის რადიოსალოკაციო სადგურის ერთობლივ გამოყენებას.

სოფიაში ყოფნისას ბუშმა განაცხადა, რომ ამ საკითხის თაობაზე რუსეთთან მოლაპარაკება ორი მხარისთვის სასარგებლო იქნება.

შეერთებულ შტატებს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში სარაკეტო თავდაცვის სისტემები მიმართული იქნება არა რუსეთის, არამედ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ დაეუფლონ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გაშვების ტექნოლოგიებს – ირანი და ჩრდილოეთ კორეა. რუსეთის ხელმძღვანელობის აზრით კი, ევროპაში ამერიკელთა სარაკეტო თავდაცვის სისტემები შეუქმნის საფრთხეს რუსეთის უშიშროებას.

ბულგარეთი ბუშის ევროპული ტურნეს ბოლო პუნქტია. გერმანიაში ყოფნის გარდა, სადაც იგი დაესწრო სამიტს, ბუში ეწვია ჩეხეთსა და პოლონეთს, სადაც განიხილა სარაკეტო თავდაცვის სისტემების განლაგების საკითხი, აგრეთვე იტალიასა და ალბანეთს.



## ისრაელმა სათვალთვალო თანამგზავრი გაუშვა

**ამ თანამგზავრმა თვალყური უნდა ადევნოს ირანის ტერიტორიას. ღამის 2 საათსა და 40 წუთზე აილო სტარტი „შავიტ“ მატარებელმა-რაკეტამ, რომლის ბორტზეც იყო „Ofec-7“ ახალი ჯაშუში-თანამგზავრი. 48 საათის შემდეგ იგი უნდა გავიდეს მოცემულ ორბიტაზე და დაიწყოს ინფორმაციის მიწოდება.**

„Ofec-7“ თანამგზავრის გაშვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისრაელის უშიშროების სისტემისთვის იმის გამო, რომ 2004 წელს წარუმატებლად დასრულდა „Ofec-7“ თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანის ცდა, რომელიც სტარტის აღებიდან მცირე ხნის შემდეგ ჩავარდა ზღვაში.

ახალი თანამგზავრი, რომელიც მთლიანად ისრაელშია შემუშავებული, არის მსგავსი თანამგზავრების მეორე მთაორობის წარმომადგენელი, და იგი აღჭურვილია სრულყოფილი მოწყობილობით.

თანამგზავრმა საათნახევრის განმავლობაში უნდა შემოუფრინოს დედამიწას 311-დან 600 კილომეტრ სიმაღლემდე. თუ არ მოხდა რაიმე მოულოდნელობა, თანამგზავრი 4-6 წლის განმავლობაში იმუშავებს. მეორე თაობის სამოქალაქო თანამგზავრებს შეუძლიათ 500 კილომეტრი სიმაღლიდან გაარჩიონ 0,7 მეტრი ზომის საგნებიც კი.

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ამირ პერეცმა თანამგზავრის შემმუშავებლებს მისი წარმატებული გაშვება მიულოცა და განუცხადა, რომ ახალი თანამგზავრი მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ ისრაელი ფლობს მძლავრ ტექნოლოგიებს.



## სარკოზის პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა

**საფრანგეთში** კვირას გამართული პარლამენტის არჩევნების პირველი ტურის შედეგების მიხედვით დამაჯერებლად ლიდერობს სახალხო მოძრაობის მხარდამჭერი მმართველი კავშირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ამ მმართველი პარტიის კანდიდატებს მისცა ხმა ამომრჩეველთა 39,5 პროცენტმა, მის ძირითად ოპონენტებს – ფრანგ სოციალისტებს კი – 24,7 პროცენტმა. ამასთან, სარკოზის პარტიამ 105 საარჩევნო ოლქიდან 104-ში გაიმარჯვა.

კენჭისყრის შედეგების მიხედვით ეროვნული კრების 577 დეპუტატიდან არჩეულია 105. არჩევნების მეორე ტური გაიმართება 17 ივნისს. საფრანგეთში მოქმედი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა გამარჯვებულ პარტიისთვის უზრუნველყოფს პარლამენტის მანდატების უმრავლესობას. სოციოლოგიური სამსახურების პროგნოზით, პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მომხრეთა ფრაქციას შეეძლება პარლამენტის ქვედა პალატაში გააკონტროლოს 383-დან 500-მდე ადგილი.

მმართველ ბანაკში პირველი ტურის შედეგებს მიიჩნევენ როგორც სახელმწიფოს ახალი მეთაურის პოლიტიკისადმი ნდობის ვოტუმს. არჩევნების შედეგად ეროვნული კრების შემადგენლობაში მოხვდნენ პრემიერ-მინისტრი ფრანსუა ფიიონი და მისი კაბინეტის მთელი რიგი მინისტრები.

გასულ მაისში გამართული პრეზიდენტის არჩევნებისგან განსხვავებით, ამ არჩევნებზე აღინიშნა ელექტორატის მცირე აქტიურობა.

2007 წლის 6 ივლისს, 12 საათზე გაიმართება სს „დიდუბის წისქვილქარხნის“ აქციონერთა კრება მისამართზე: ქ. თბილისი, სტანისლავსკის ქ. №12.
დღის წესრიგი:
1. საზოგადოების რეორგანიზაცია (გარდაქმნა).
აქციონერთა საალრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 1 ივლისი.
აქციონერებს კრებაზე თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე შპს „ეროვნულ რეესტრთან“. მის. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74, IX სართ. ტელ. 29-20-03.
სამეთვალყურეო საბჭო

# ხელოვნება

პროექტის — „წარმოსახვა შოპენის ბგერით სივრცეში“ ავტორები არიან ხელოვნებათმცოდნე ია ესვანჯია და პროფესორი ჰენრიეტა იუსტინსკაია. მონაწილეობდნენ სამხატვრო აკადემიის ფერწერისა და გრაფიკის ფაკულტეტის და კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის სტუდენტები



**გამოფენა-კონცერტი**

## მხატვრობა შოპენის მუსიკის სივრცეში

იმ დღეს კონსერვატორიის საორკესტრო დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი. დიდი ინტერესის გამო, ბევრი ფეხზეც იდგა.

შოპენის მუსიკის ჰანგებზე შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები ექსპონირებული იყო სანოტო პულტებზე, რაც ძალზე ორიგინალურად იყო ჩაფიქრებული.

პროექტის — „წარმოსახვა შოპენის ბგერით სივრცეში“ ავტორები არიან ხელოვნებათმცოდნე ია ესვანჯია და პროფესორი ჰენრიეტა იუსტინსკაია. მონაწილეობდნენ სამხატვრო აკადემიის ფერწერისა და გრაფიკის ფაკულტეტის და კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის სტუდენტები. სტუმართა შორის იყვნენ პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

გამოფენა-კონცერტმა ამაღლებული განწყობილებით ჩაიარა. დამსწრენი კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. ორგანიზატორული თვალსაზრისითაც და პროფესიული დონითაც ღონისძიება შემეცნებით ხასიათს ატარებდა. **ნანული დოლაბერიძე: „ძალიან მომეწონა სტუდენტები, აღფრთოვანებული ვარ ქალბატონ იას მიგნებით, ინტელექტით. მე თვითონ ხელოვანთა წრეში ვტრიალებ და ვიცი, ამაში რამხელა ენერგია და ცოდნაა ჩადებული“.**

**რამდენიმე კითხვით პროექტის ავტორს ია ესვანჯიას მივმართეთ:**

**— გამოფენა-კონცერტი ანშლაგით ჩატარდა, როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ასეთი ინტერესი?**

— ვფიქრობ, ინტერესი გამოიწვია იმან, რომ ასეთი გამოფენა-კონცერტები იშვიათად ტარდება. სათაური — „წარმოსახვა შოპენის ბგერით სივრცეში“ უკვე მეტყველებდა, რომ თემა იყო საინტერესო, რომ შესრულდებოდა გენიალური პოლონელი კომპოზიტორის უკვდავი ქმნილებები, რომლის მიხედვითაც გამოიფინებოდა მისი მუსიკის ასოციაციებით შექმნილი კომპოზიციები. მინდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ამ თემის მიმართ, რაც ძალიან მახარებს.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ დიდი ხანია მუშაობთ მხატვრობისა და მუსიკის კავშირებზე; ასწავლით სტუდენტებს, გამოქვეყნებული გაქვთ ამ თემაზე ნაშრომები, გთხოვთ, ორიოდ სიტყვით გვითხრათ ამ კავშირების შესახებ.**



— მუსიკასა და სახვით ხელოვნებას შორის კავშირი იმდენად დიდია, რომ ხშირად იშლება ზღვარი აკუსტიკურ და ვიზუალურ აღქმას შორის. მუსიკა თავისი არსით აბსტრაქტული ხელოვნებაა და წარმოსახვითია. მხატვრობა, მართალია, ვიზუალურია, მაგრამ ისიც წარმოსახვითია; როდესაც მხატვარი გადის პლენერზე და ხატავს პეიზაჟს ან ნატურიდან ხატავს პორტრეტს, თუ ნატურმორტს, ბევრი მათგანი არ აკეთებს მის ასლს; ნატურა მისთვის, ასე ვთქვათ, „შთაგონების წყარო“ და მუზაა. შთაგონების წყაროა მხატვრისთვის მუსიკაც, რომელიც განსაკუთრებულ ემოციურ ენერგეტიკას აძლევს მხატვარს.

**— რატომ შეარჩიეთ ფრედერიკ შოპენი?**

— შოპენი ის გენიალური კომპოზიტორია, რომელიც ყოველ ეპოქაში ახლებურად შეიმეცნება და წარმოჩინდება არა მარტო მუსიკოს-შემსრულებლის ინტერპრეტაციით, არამედ მხატვრისთვისაც.

ეს კომპოზიციები ძირითადად აბსტრაქტულია, აქ მთავარ ემოციურ ენერგეტიკას იძლევა ფერი და დინამიკა, რომელიც შოპენისთვის დამახასიათებელ ღრმა ემოციურ-პოეტურ სამყაროს ქმნის, მელანქოლიიდან დაწყებული რომანტიკული ჰეროიკითა და პატრიოტიზმით დამთავრებული.

**— გაიარეს თუ არა წინასწარი მომზადება სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა?**

— მარტში ჩვენ გვქონდა სამხატვრო აკადემიაში ასეთივე გამოფენა-კონცერტი „მხატვრის ხილვები, ბგერით სივრცეში“, რომელიც მუსიკალური ჩანაწერების ფონზე მიმდინარეობდა.

ამჟამად ფერწერული და გრაფიკული კომპოზიციების გამოფენა გაიმართა შოპენის საფორტეპიანო ნაწარმოებების ცოცხალი შესრულებით, რომელსაც მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით ასრულებდნენ სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა ამ გამოფენაზე გამოიყენეს ყველა ის ცოდნა, რომელიც მათ აკადემიაში მიიღეს, ასევე ლექციების სპეციალური კურსი მუსიკისა და მხატვრობის კავშირების შესახებ, რომელმაც, ვფიქრობ, გააფართოვა მათი შემეცნებითი არეალი. შოპენის მუსიკის მიხედვით ფერწერული და გრაფიკული კომპოზიციები მათ დამოუკიდებლად შექმნეს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბევრმა სტუდენტმა გამოიყენა ნარინჯისფერი და წითელი ტონალობები, რაც „პოლონური“ ფერებია და რომელიც მათ შოპენის მუსიკიდან შეიგრძნეს.

მხატვრისთვის მუსიკა, ხოლო მუსიკოსისთვის — მხატვრობა ანვითარებს მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებას, ფანტაზიებს, ასოციაციებს, წარმოსახვას, აფართოებს მათ შემეცნებით არეალს, ვფიქრობ, ეს გამოფენა-კონცერტი ამის მაგალითია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო პოლონეთის საელჩოს დახმარებისთვის. ასევე ყველას, ვინც ხელი შეგვიწყო ამ პროექტის განხორციელებაში, განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თვით სტუდენტებს, რომელთა ინტერესი და შემართება მაძლევს სტიმულს შემდგომი მუშაობისთვის.

**ლია ჭილლაძე**

**სურათებზე:** ფრედერიკ შოპენის — ვალსი „რე ბემოლ მაჟორი“ ფერწერული აბსტრაქციის ავტორი ვერიკო ბარნაბიშვილი; ფრედერიკ შოპენის — ეტიუდი „დო მაჟორი“ ფერწერული აბსტრაქციის ავტორი ირაკლი ჩიქოვანი.

**ინფორმაცია**

## როგორი იქნება ქართულ-ჩინური მატარებელი?



**2008 წლის აპრილიდან საქართველოს რკინიგზით ახალი, ქართულ-ჩინური მატარებლები იმოძრავებენ. შესაბამისი ხელშეკრულება გუშინ შპს „საქართველოს რკინიგზას“ და სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას“ შორის გაფორმდა.**

სამგზავრო შემადგენლობის შესაძენად გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში რუსული, ლატვიური და ქართული კომპანიები მონაწილეობდნენ. გამარჯვებულად თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ გამოცხადდა, რომელმაც რკინიგზას ქართულ-ჩინური ერთობლივი პროდუქტი წარუდგინა.



როგორც შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ განაცხადა, რკინიგზამ ბოლოს ახალი შემადგენლობა 1974 წელს შეიძინა.

— ეს არის პირველი პრეცედენტი მრავალი წლის მანძილზე, როდესაც მოდერნიზების ნაცვლად რკინიგზა ახალ მატარებლებს ყიდულობს, — აღნიშნა მან.

ეზუგბაიას განცხადებით, ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთი 8-ვაგონიანი შემადგენლობის შეძენას, რომელიც დასავლეთის მიმართულებით იმოძრავებს და ორი 2-ვაგონიანი მატარებლის ყიდვას, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მშენებარე სადგურთან იქნება დამაკავშირებელი.

„საქართველოს რკინიგზა“ განიხილავდა, ასევე, ევროპული კომპანიების პროდუქციის შეძენის საკითხს. ეზუგბაიას თქმით, კომპანია „სიმენსის“ ვაგონი 3 მილიონი ევრო ჯდება, ქართული მხარე კი იგივე ხარისხის ვაგონებში 570 და 670 ათას ევროს გადაიხდის.

რაც შეეხება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მიმდინარე ახალი სარკინიგზო სადგურის მშენებლობას, ირაკლი ეზუგბაიას განცხადებით, მშენებლობა აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

## გარდაბანში 2540 ღორი დაეცა

**ღორის აფრიკული ცხელების, ე.წ. მონტგომერის დაავადების გავრცელების გამო, გარდაბნის რაიონის სოფლებში სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება.**

გარდაბნის შესასვლელში დეზოხალიჩა გაკეთდა და ყველა სახის ტრანსპორტს დეზინფექცია უტარდება.

ღორის დაცემის ფაქტები გარდაბნის რაიონის სოფლებში ახალსამგორში, თელეთში, ნორიოში, მარტყოფში, ახალსოფელში, კრწანისსა და ქალაქ მარნეულში, ასევე სოფელ სართიჭალაში დაფიქსირდა. აღნიშნული სოფელი კახეთის რეგიონს, კერძოდ საგარეჯოს რაიონს ესაზღვრება.

დღეისთვის გარდაბნის რაიონში ღორის დაცემის 2540 ფაქტია რეგისტრირებული.

როგორც სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის რაიონული სამსახურის უფროსმა ალეკო ნავერიანმა განაცხადა, დახოცილი ღორების განადგურება სპეციალურ სამარხებში ხდება.

**ინტერპრესნიუსი**

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა:** პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ გააცნოთ ხელისუფლებას და საზოგადოებას ჩვენი აზრი და გულისტკივილი საპენსიო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული ერთი ფაქტის გამო:

2007 წლის 30 მარტს, 14 საათზე, საზოგადოებრივი რადიოს სტუდიაში გადაცემის წამყვანს გია წიკლაურს მოწვეული ჰყავდა სტუმარი მონიკა ხეჩინაშვილი — საპენსიო სისტემის რეფორმის ჯგუფის კოორდინატორი, რომელმაც განაცხადა, რომ „ახალი რეფორმის განხორციელების შემდეგ პენსიონერები მიიღებენ დახმარებას, ხოლო პენსია დაენიშნებათ მათ, ვინც დღეს მუშაობს“.



ჩვენ პროტესტს გამოვთქვამთ ამ რეფორმის გამო და მიგვაჩნია, რომ ხელისუფლება და რეფორმატორები პენსიონერებს, რომელთაც ხანგრძლივი სტაჟი და დამსახურება გაგვაჩნია სახელმწიფოს წინაშე, გვიმზადებენ ნაადრევ გენოციდს. განსაკუთრებით ძნელი მოსასმენი იყო ჩვენთვის „რეფორმატორის“ აზრი იმის შესახებ, რომ, თურმე, ჩვენი სტაჟი ყოფილა ყალბი. ამას აცხადებენ ღია ეთერში, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე. იმედი გვაქვს, დაგვეხმარებით.

**ნინო ოგოლაძე**

**პასუხი:** სამწუხაროდ, თქვენს შეკითხვაში აღნიშნული რადიოგადაცემა არ მოგვისმენია. ამდენად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, გამოვთქვათ საკუთარი აზრი მის შესახებ. რა თქმა უნდა, გვესმის თქვენი აღშფოთების არსი, მაგრამ უფრო კონკრეტულ და რეალურ პასუხს საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით, თქვენთვის საინტერესო საკითხზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან მიიღებთ.

გირჩევთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე: — საინფორმაციო საშუალებებით გამოსვლა და აზრის გამოთქმა ერთია, მაგრამ მთავარია, როგორ გადაწყდება საქართველოს მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფა რეფორმის შემდეგ მოქმედი კანონით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

# სპორტი

● ბოდიბილდინგის ეროვნული ფედერაციის შექმნიდან 20 წელი შესრულდა. საიუბილეო თარიღი ქართველმა ათლეტებმა რუსთავის კლუბ „განთიადში“ გამართული ქვეყნის ჩემპიონატით აღნიშნეს, სადაც მასპინძლებთან ერთად დედაქალაქელმა და გორელმა სპორტსმენებმა იასპარეზეს



◎ რაგბი

## ფარი ვერ შევინარჩუნეთ



**ევროპის სერიის ეგიდით გამართულ მორაგბეთა თბილისის წლევანდელ შვიდკაცაში 10 გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის — მთავარი პრიზის ფარის შარშანდელი მფლობელი საფრანგეთის ნაკრები. სამფეროვნები და ბორჯღალოსნები სხვადასხვა ჯგუფში იყვნენ განთესილი და ფინალამდე არ შეხვედრიან ერთმანეთს.**

მასპინძლებმა პირველ ორთაბრძოლაში ბერძნებს სძლიეს 45:5, შემდეგ მშრალი ანგარიშებით ისრაელი (35:0) და მოლდოვა (35:0) დაამარცხეს. ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში ლატვიელებს მოუგეს 12:7. ნახევარფინალში უკრაინელებს დააყრევინეს ფარხმალი (17:12).

გადამწყვეტი პაექრობა ჩვენებმა ფრანგებთან წააგეს(19:34) და ფარი კვლავ სტუმრებს გაატანეს. მარცხის მიუხედავად, ბორჯღალოსნებმა ორი ეტაპის ჯამში 24 ქულა მოაგროვეს და ფინალურ სტადიაზე მოსკოვში ითამაშებენ.

რაც შეეხება თბილისის ტურნირს, მესამე ადგილისთვის დავა უკრაინელებმა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს. მომდევნო ადგილებზე მოლდოვა, ლატვია, ბელგია, ისრაელი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი და საბერძნეთი გავიდნენ.

* * *

**რუმინეთში** გრძელდება IRB-ის ერთა თასის გათამაშება 6 გუნდის მონაწილეობით. მეორე ტურში საქართველოს ნაკრები სამხრეთ აფრიკის გუნდთან დამარცხდა 7:24. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: არგენტინა A — ნამიბია 47:13, რუმინეთი — იტალია A 19:8.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. აფრიკა A | 2 | 2 | 0 | 0 | +71 | 9 |
| 2. არგენტინა A | 2 | 2 | 0 | 0 | +41 | 9 |
| 3. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | -9 | 4 |
| 4. რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -43 | 4 |
| 5. იტალია A | 2 | 0 | 0 | 2 | -18 | 1 |
| 6. ნამიბია | 2 | 0 | 0 | 2 | -42 | 0 |

**16 ივნისს ითამაშებენ:** საქართველო-იტალია A, სამხრეთ აფრიკა A — არგენტინა A, რუმინეთი — ნამიბია.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

◎ ორბიტაზე

## ჰემილტონი — პირველად პირველი

**თავის** კარიერაში პირველი გამარჯვებით აღნიშნა საჯინიბო „მაკლარენის“ ბრიტანელმა პილოტმა ლუის ჰემილტონმა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი „კანადის გრან-პრი“. ახლა ის ლიდერობს და 8 ქულით უსწრებს თანაგუნდელს, ორგზის მსოფლიო ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს, რომელიც ფინიშთან მხოლოდ მეშვიდე იყო.

აღსანიშნავია, რომ ამჯერად შეჯიბრების კვარცხლბეკი ერთობ უჩვეულო იყო: ახალგაზრდა ბრიტანელთან ერთად ის „ბმვ-ზაუბერის“ მრბოლმა ნიკ ჰაიდფელდმა და „უილიამსის“ პილოტმა ალექს ვურცმა დაიკავეს, მეოთხე იყო „რენოს“ პილოტი ჰეიკი კოვალაინენი, სტარტიდან სულ ბოლო რომ დაიძრა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ავტოდრომზე უამრავი ავარია მოხდა, მაგალითად, მთლიანად დაილეწა „ბმვ-ზაუბერის“ პილოტის რობერტ კუბიცას ბოლიდი, ფინიშთან კი მხოლოდ 12 მანქანა მივიდა. ბრაზილიელი ფელიპე მასა („ფერარი“) და ჯანკარლო ფიზიკელა („რენო“) დისკვალიფიცირებულნი არიან საწვავით შევსებისას დაშვებული შეცდომისათვის.

კონსტრუქტორთა თასზე ლიდერობს „მაკლარენი“ — 88 ქულა. 60 ქულით მეორეა „ფერარი“.

## ნადალი — სამგზის, ენენი — ოთხგზის

**მოდით,** პირველობა მაინც ქალებს დავუთმოთ. მით უმეტეს, რომ „როლანდ გაროსის“ ქალთა ფინალი ცოტა უფრო ადრე გაიმართა.

შეიძლება ითქვას, რომ თუმცა ბელგიელმა ჟიუსტინ ენენმა ამჯერად აქ მეოთხედ გაიმარჯვა, თანაც ზედიზედ მესამედ, მაგრამ არც ერთი გამარჯვებისთვის ასე მოკლე დროში არ მიუღწევია — სერბი ანა ივანოვიჩის დასამარცხებლად მას მხოლოდ 1 საათი და 5 წუთი დასჭირდა. ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ 19 წლის სერბი ქალიშვილის ასეთი პრესტიჟული ტურნირის, როგორიც საფრანგეთის ღია ჩემპიონატია, ფინალში გასვლა თავისთავად დიდი გამარჯვებაა. რა ვუყოთ, რომ ჯერჯერობით მას გამოცდილება არ ეყო კორტის ისეთი გამობრძმედილი მებრძოლის წინააღმდეგ, როგორიც ამჟამინდელი მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანია — 1:6, 2:6.

რაც შეეხება ვაჟთა პაექრობას, აქ უკვე მერამდენედ გამეორდა ერთი და იგივე — ფინალში ერთმანეთს კვლავ თანამედროვეობის ორი უძლიერესი ჩოგბურთელი — პლანეტის პირველი და მეორე ჩოგანოსნები — შვეიცარიელი როჯერ ფედერერი და



ესპანელი რაფაელ ნადალი — დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

აქამდე მათი ორთაბრძოლების ანგარიში იყო 7:4 ესპანელის სასარგებლოდ, თანაც, უნდა აღინიშნოს, რომ ფედერერს პარიზში აქამდე არც ერთხელ არ გაუმარჯვია, ნადალი კი უკვე ორგზის ჩემპიონი იყო. ეს ახალი შეხვედრაც უკომპრომისო გამოდგა, თუმცა ტრიბუნები ერთხანს შვეიცარიელს უჭერდა მხარს, მაგრამ მალე შედარებით ახალგაზრდა ნადალმა მათი დიდი სიმპათიაც დაიმსახურა, რასაც მორიგი გამარჯვებით უპასუხა — 6:3, 4:6, 6:3, 6:4.

ამრიგად, „როლანდ გაროსის“ ისტორიაში რაფაელ ნადალი მეორე ჩოგბურთელია, შვედი ბიორნ ბორგის შემდეგ, ვინც ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა ამ ტურნირში.

**სურათზე:** ჟიუსტინ ენენი (მარჯვნივ) და ანა ივანოვიჩი.

◎ ფეხბურთი

## ევროპის სტადიონებზე

**შარშანდელის მსგავსად, შოთა არველაძე წლეულსაც მიიწვიეს იუნისეფის ეგიდით პორტუგალიაში გამართულ საქველმოქმედო მატჩში, სადაც ერთმანეთს ლუიშ ფიგუს მეგობრები და მსოფლიოს ნაკრები დაუპირისპირდნენ.**

ჩვენმა თანამემამულემ „ჟოზე ალვალადეს“ სტადიონზე დასკვნითი ნახევარი საათის განმავლობაში ითამაშა და ორი საგოლე მომენტის გაფლანგვა მოასწრო, თვით შეხვედრა კი მისმა პარტნიორებმა — ფიგუს მეგობრებმა მოიგეს — 5:4.

სხვათა შორის, ლისაბონში კახა კალაძეც იყო მიპატიჟებული, თუმცა პირადი საქმეების გამო მან დანიშნულების ადგილამდე ჩასვლა ვერ მოახერხა.

* * *

**ესპანეთი. XXXVII ტური.** „სარაგოსა“ — „რეალი“ 2:2, „ბარსელონა“ — „ესპანიოლი“ 2:2, „მალიორკა“ — „სევილია“ 0:0, „ლევანტე“ — „ვალენსია“ 4:2, „ვილიარეალი“ — „ბილბაო“ 3:1, „ატლეტიკო“ — „სელტა“ 2:3, „დეპორტივო“ — „უელვა“ 2:5, „ხეტაფე“ — „ხიმნასტიკი“ 0:1, „სოსიედადი“ — „რასინგი“ 0:0, „ბეტისი“ — „ოსასუნა“ 0:5.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“, „ბარსელონა — 73-73, „სევილია„ 71 ქულა.

**ბომბარდირი:** ვან ნისტელროოი („რეალი“) — 25 გოლი.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „რეალი“ — „მალიორკა“, —„ხიმნასტიკი“ — „ბარსელონა“, „ სევილია“ — „ვილიარეალი“.

**იტალია.** „სერია — B“. **ბოლო ტური.** „იუვენტუსი“ — „სპეცია“ 2:3, „ჯენოა“ — „ნაპოლი“ 0:0.

***„იუვენტუსი“ — 85, „ნაპოლი“ — 79, „ჯენოა“ — 78 ქულა. აღნიშნული კლუბები მომავალ სეზონში „ სერია-A“-ში ითამაშებენ.***



◎ ბოდიბილდინგი



## საიუბილეო ასპარეზობა

**ბოდიბილდინგის ეროვნული ფედერაციის შექმნიდან 20 წელი შესრულდა. საიუბილეო თარიღი ქართველმა ათლეტებმა რუსთავის კლუბ „განთიადში“ გამართული ქვეყნის ჩემპიონატით აღნიშნეს, სადაც მასპინძლებთან ერთად დედაქალაქელმა და გორელმა სპორტსმენებმა იასპარეზეს.**

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად თბილისელ ლევან კიკვაძეს, რომელმაც ყველას აჯობა როგორც 75 კილოგრამამდე, ისე აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ აგრეთვე მისი თანაგუნდელი ოთარ ღულაძე, (80 კგ) და გორელი ვიქტორ გეგეშიძე (85 კგ).

საქართველოს ეროვნული ნაკრები უკვე შეუდგა მომავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირებისთვის მზადებას. მათგან უმთავრესია ევროპის ჩემპიონატი, რომელიც გაისად მაისში ხორვატეთში მოეწყობა.

**გარი ამირხანოვი**

◎ მძლეოსნობა

## საევროპოდ კანდიდატები შეირჩა

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა მძლეოსანთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 300-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

პირველ ჯგუფში თავი გამოიჩინეს მასპინძლებმა — დედაქალაქელმა ათლეტებმა, რომლებმაც 672 ქულით ყველას აჯობეს. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, ქუთაისისა და ახალციხის გუნდებმა გაიყვეს. მეორე ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. წყალტუბო, 2. ოზურგეთი, 3 ახმეტა.

ახლა კი გაუწყებთ სახეობების მიხედვით გამარჯვებულთა ვინაობას:

**ვაჟები. 100 და 200მ.** დავით ცუცქირიძე (ბორჯომი), **400მ.** ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე), **800მ.** თენგიზ ღვინჯილია (ზუგდიდი), **1500მ.** გიგლა ზალბერშტეინი (ახალციხე), **3000 და 5000მ.** გიორგი შეკრელიძე (დუშეთი). **თარჯრბენი, 110მ.** დავით ილარიანი (თბილისი), **თარჯრბენი, 400მ.** დავით ტაბეშაძე (ქუთაისი), **სიგრძეზე ხტომა.** დავით ილარიანი, **სიმაღლეზე ხტომა.** გიორგი ამირანაშვილი, **სამხტომი.** ბორისლავ სხირტლაძე (სამივე — თბილისი), **ბირთვი.** მამუკა ტულუში, **ბადრო.** მინდია ერქომაიშვილი (ორივე — ოზურგეთი), **შუბი.** როსტომ ჭინჭარაული (დუშეთი).



**ქალები. 100 მ.** ანა ონიაშვილი, **200 მ.** სოფო გაფრინდაშვილი (ორივე — თბილისი), **400 და 800 მ.** გაიანე უსტიანი (ახალციხე), **1500 მ.** თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი), **3000 და 5000 მ.** გიული დეკანაძე (ვანი), **თარჯრბენი, 110 მ.** მაია გოგოლაძე, **თარჯრბენი 400მ.** სოფიო მანუკიანი (ორივე — თბილისი). **სიმაღლეზე ხტომა.** ლიკა დვალიშვილი, **სიგრძეზე ხტომა და სამხტომი.** იულია დუბინა (ორივე — თბილისი), **ბირთვი და ბადრო.** სალომე რიგიშვილი (თიანეთი), **შუბი.** ქეთინო ჩაგანავა (ფოთი).

საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები 25 სპორტსმენის შემადგენლობით ბოსნია — ჰერცეგოვინაში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს..

# ცხოვრება

● ამჯერად, განსაკუთრებული მისიით იმყოფებოდა დედაქალაქში ოტია იოსელიანი. ეს რამდენიმე წელიწადია მწერალი, პროზის პარალელურად, პოეზიასაც მიეძალა, გამოსცა საბავშვო ლექსების კრებული — „ბუნება მეგობარია“, ხოლო ახლახან გამოვიდა მისი ლირიკული ლექსების ციკლი — „სიშორით სიახლოვე“



ეროვნული ბიბლიოთეკა

**◎ მოვლენის შემდეგ**

# თქვენ წინაშეა „ახალგაზრდა პოეტი“ ოტია იოსელიანი!

დატოვებს ხოლმე რამდენიმე დღით ოტია იოსელიანი წყალტუბოს და გვიშტიბს, ჩამოვა დედაქალაქში, მიალაგ-მოალაგებს საქმეებს და თან მასზე „მონადირე“ ჟურნალისტების ინტერესსაც დააკმაყოფილებს (რა ქნას, კოლორიტული კაცია), აბა, ტელევიზიის სხვადასხვა არხიო, აბა, ნაირ-ნაირი პრესაო... მე თქვენ გეტყვით და ვინმეს მოერიდება და პირდაპირ არ იტყვის სათქმელს ჩვენი სახელოვანი მწერალი, ჩემი საამაყო მეზობელი (გვიშტიბი და მაღლაკი გვერდიგვერდ არიან), ჰოდა, ამ დემოკრატიის პირობებში (თუმცა ოტია არც კომუნისტების დროს ეძებდა სიტყვას ჯიბეში) მასმედიას მეტი რა უნდა — მოურიდებლად მოსაუბრე რესპონდენტი მისწრებაა.

ამჯერად, განსაკუთრებული მისიით იმყოფებოდა დედაქალაქში ოტია იოსელიანი. ეს რამდენიმე წელიწადია მწერალი, პროზის პარალელურად, პოეზიასაც მიეძალა, გამოსცა საბავშვო ლექსების კრებული — **„ბუნება მეგობარია“**, ხოლო ახლახან გამოვიდა მისი ლირიკული ლექსების ციკლი — **„სიშორით სიახლოვე“**, რომელიც, 6 ივნისს, რუსთაველის საზოგადოების დიდ დარბაზში წარდგენისას მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად მიიჩნიეს (დავით ტაკიძე, მიხეილ ქურდიანი, გიზო ზარნაძე და სხვები).

იჯდა ბატონი ოტია, ჩვეულებრივ აფუილებდა მუნდშტუკში გაკეთებულ სიგარეტს, მერე მადლობაც გადაუხადა ამ შეხვედრის მომწყობთ, იქ შეკრებილ საზოგადოებას, მე კი რედაქციაში სტუმრობას დამპირდა და შეასრულა კიდეც.

და იგი ახლა ჩემ წინ ზის და, რა თქმა უნდა, ისევ მუნდშტუკში გაკეთებულ სიგარეტს აფუილებს. ორივე ლექსების კრებულზე გულითადად წამიწერა ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაზ ბიჭიას ძე... **იოსელიანმა** (უტვინო კანონმდებლების ჯინაზე, მამის სახელი რომ ვითომ გააუქმეს, ასე აწერს ხოლმე იგი თავის წიგნებს).

— რომ დაიბეჭდება, შემინახე გაზეთი, თუ კაცი ხარ... ფოსტა აღარაა წყალტუბოში, გაყიდეს უკვე, თვარა გამევიწერდი, გაზეთი კიოსკში კი ხან მოდის და ხან არა... ყველაფერი გაყიდეს — ბიბლიოთეკები, წიგნების მაღაზიები... ქობულეთში იმსიგრძე ქუჩაზე წიგნის მაღაზია არ არის არსად... ვანში გაყიდეს, წარმოიდგინე, მცხეთაშიც გაყიდეს!..მცხეთაში, საიდანაც სინათლე მოეფინა მთელ საქართველოს!.. სამაგიეროდ, რესტორანი ბევრია!.. ვჭამოთ, ვსვათ, ამოვიყოროთ მუცელი და ვიყოთ — წიგნი და განათლება რად გვინდა!.. თუ მოზარდს წიგნი არ შეაყვარე, თეატრი, მუსიკა არ შეაყვარე, დაპატიმრებით აღზრდი?! პატრიოტები ტყეში კი არა, ყანაში და სათოხარში ჯობია, იქ გამოჩნდება, რაფერ უყვართ თავისი ქვეყანა!..

**— გვიშტიბში არის უკვე რამე გასათოხნი?!**

— გვიშტიბში და სხვაგანაც ჯერ დათესილიც კი არაა არაფერი!.. ტრაქტორები გაყიდეს, თუ რამე ლითონისმაგვარი იყო, თურქეთში გეიტანეს. რამდენიმე ულელი ხარი თუ მოიძევება გვიშტიბში და მათაც ვერ ამუშავებენ — დაუჭედავი ხარი ნაბიჯს არ გადადგამს!.. არადა, აღარც რკინაა ნალისთვის და აღარც მჭედელი, რომ ნალი გამოჭედოს!.. აი, ამ დღეშია ბიძიკო, ჩვენი სოფელი!.. ბიბლიოთეკები გააუქმეს! მაღლაკში, შენ სოფელში რომ შესანიშნავი ბიბლიოთეკა იყო, აღარ არსებობს! იცოდი?! .

**— რას ამბობ, კაცო, არ ვიცოდი!..**

— („მკბენს“) არ ჩადიხარ სოფელში და!.. თუმცა, უშველიდი რამეს?! თქვეს და გათავდა! ამათია ხელისუფლება!.. აღარაა საჭიროო, კომპიუტერისა და ინტერნეტის, თუ რაღაც ჯანდაბის, დრო დადგაო, წერენ კასეტებზე მსახიობები პოეზიის, პროზის ნიმუშებს, ჩართეთ ტელევიზორი, წამოწექით და თან უსმინეთ, თან უყურეთო... წიგნის კითხვას შეედრება მერე მაგი?!.

**— რამ გიკარნახათ ლექსის წერა?.. პროზაში ხომ უფრო გაშლილად ითქმება სათქმელი...**

— სათქმელს გააჩნია... პოეზიას თავისი სათქმელი აქვს, იმას ვერც რომანში იტყვი და ვერც ნოველაში. რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ მთხოვა კარგა ხნის წინათ, თქვენი რომანი „ვარსკვლავთცვენა“ პიესად გადავაკეთოთ, მარჯანიშვილში მინდა დავდგაო. შორს დავიჭირე... იმ რომანში ზოგი ისეთი რამაა აღწერილი, რასაც სცენაზე ვერ გადმოვიტანდით... ასეა... ეს ლექსები („სიშორით სიახლოვეზე“ ვამბობ) თითქმის 25 წელიწადი იწერებოდა... ნელა იწერებოდა, რადგან, მინდოდა, რასაც ვიტყოდი, ჩემი ყოფილიყო... ადგა მერე ჩვენი ძვირფასი ბესიკ ხარანაული და წიგნს ისეთი შესავალი დაურთო, ცოტა ქე მრცხვენია ამ ხნის კაცს. აი, რას წერს: **„უდიდესი სიამოვნებით წავიკითხე ოტია იოსელიანის ეს ლირიკული ეპოსი. ამ წიგნში ამოიკითხება ადამიანიც, ბუნებაც, მხარეც, ლანდშაფტიც. ეს არის მართალი ნატიფი ლირიკა და, ფილოსოფიური განწყობაც, რომელიც მას ახლავს, სრულიად ბუნებრივია.**

**ეს ხდება ხოლმე, როცა კალამი ნიჭიერ კარგ კაცს უჭირავს ხელში. ამ წიგნს მკითხველი ეყოლება, აქ სრულიად სხვაგვარი პოეზიაა, ვიდრე დღეს მიჩვეულნი ვართ და, კიდევ ის მიხარია, რომ დიდი გრძნობების ადამიანმა სადინარი უპოვა თავის სულს“.**

**— ხარანაული ის კაცია, ტყუილს რომ არ დაწერდა...**

— ალბათ... ერთი სიტყვით, წაიკითხე, წაიკითხე და ნახავ!..

**— წავიკითხავ, რა თქმა უნდა!..**

* * *

**16 ივნისს „ახალგაზრდა პოეტის“ — ოტია იოსელიანის დაბადების დღეა. იგი 77 წლისა ხდება. ვულოცავთ! ღმერთმა ჰქნას, მკითხველმა ისევე შეიყვაროს პოეტი ოტია იოსელიანი, როგორც იგი მისი ბრწყინვალე პროზის გამო უყვარს!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

**◎ ჰუმანური აქცია**

# სიტყვით და ლოცვით გამოხატული მადლობა

**ამას წინათ** წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლს საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წარმომადგენლები სტუმრობდნენ. ასოციაციის საქმიანობაში ქველმოქმედება უმთავრესია და ესეც მისი ხელმძღვანელების მორიგი ჰუმანური აქცია გახლდათ. ქალბატონებმა სამშობიარო სახლისთვის შპრიცები და თხევადი მცენარეული საპონი, ჩვილებისთვის კი ტანსაცმლის 25 კომპლექტი მიიტანეს.

სამშობიარო სახლის დერეფნებში ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებთ. თვალშისაცემია იქ გამეფებული წესრიგი და სიმყუდროვე. ყველას, პაციენტებსაც და მშობიარეებსაც, გულისხმიერად ხვდებიან და პროფესიულად ემსახურებიან, თბილისელებსა თუ რეგიონებიდან ჩამოსულებს, სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ქალბატონებს: ქართველებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, სომხებს, ოსებს, ბერძნებს...



საამურია ნათელ, წკრიალა ოთახებში ბედნიერებისგან გაბადრულ დედებს მიხუტებული, საყვარლად გამოკვართული ჩვილების ხილვა. მათ შეხედვას მართლაც არაფერი სჯობს. ასოციაციის თავმჯდომარემ **მაია კვეზერელმა-კოპაძემ** მელოგინეებს ზოგს პირველი, ზოგსაც „მორიგი“ შვილი მიულოცა და საჩუქრები გადასცა. საჩუქრები მადლიერებით მიიღეს დედებმა. კმაყოფილებას გამოთქვამდნენ 6 შვილის დედა თამარ ვეშაგური, 5 შვილის დედა თამარ ბიბილაშვილი, 3-შვილიანები — ხათუნა ოდიშარია, თეა მუჭაური, ხაზანგულ ჰუსეინოვა, მარინე ფიფია, თამარ ბაკოიანი და სხვ.

სამშობიარო სახლის გენერალურმა დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ილუმენმა **ადამ-ვახტანგ ახალაძემ** მადლობა გადაუხადა სტუმრებს და დალოცა ისინი.

— ყოველი ახალი სიცოცხლის დაბადებას ახალი სიხარული მოაქვს. ჩვენი უმთავრესი მიზანია პაციენტს, ორსულობისა თუ გართულებული მშობიარობისას დროულად დავეხმაროთ. ბევრი და ჯანმრთელი ბავშვი უნდა დაიბადოს, ქვეყანა უნდა გაძლიერდეს, — თქვა მამა ადამმა და დაამატა: „მადლობა ჩვენს სტუმრებს, ღირსეულ ქალბატონებს, ჩვენი სამშობიარო სახლის, დედებისა და ჩვილებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის. ამ საჩუქრებს უდიდესი სულიერი მნიშვნელობაც აქვს“.

**ბელა ლომთაძე**

**სურათზე:** **განყოფილების გამგე, ნეონატოლოგი ლალი დოლიძე და ბედნიერი დედა ხათუნა ოდიშარია ჩვილთან ერთად (აბაშის რაიონის სოფელ ძველი აბაშიდან).**

**◎ გამოიცა**

# ქცევის მაღალი კულტურისათვის!

**ცხოვრება** გვიკარნახებს, რომ კულტურულ საზოგადოებაში მიღებული ეთიკური ნორმების შეთვისება ახალგაზრდობის წლებშივე აქტუალური უნდა იყოს მოზარდთათვის. უამრავი ლიტერატურაა შექმნილი ქცევის კულტურის შესახებ და ახალი, ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობილი თვალსაზრისის მიწოდება, ბუნებრივია, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ადამიანს კულტურულ, ერუდირებულ ინდივიდად ჩამოყალიბებაში.




ვფიქრობთ, ამ მხრივ კარგ სამსახურს გაუწევს მკითხველს ახლახან საზოგადოება „ცოდნის“ გრიფით დასტამბული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ამირან მექვაბიშვილის დამხმარე სახელმძღვანელო მოსწავლე და სტუდენტ-ახალგაზრდობისათვის **„ქცევის კულტურა“**.

ავტორს მიზნად დაუსახავს ამ საერთო ხასიათის პრობლემატიკაში ქართული ტრადიციების მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა და ამას მარჯვედ ახერხებს კლასიკური ქართული ლიტერატურის საგანძურიდან მოშველიებული ნიმუშებით.

ავტორის მთელი ყურადღება გადატანილია მოსწავლე და სტუდენტ-ახალგაზრდობაზე.

სახელმძღვანელოში დიდი ადგილი უჭირავს რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის საკითხებს, ბიბლიური ათი მცნების გააზრებას და მის დიდ სიკეთეს. რჩევებია მოცემული, თუ როგორ უნდა ვიქცეოდეთ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, თავშეყრის სხვა ადგილებში, სტუმარ-მასპინძლობისას, საჩუქრის მირთმევისას და ა.შ.

ქართული სუფრის წარმართვის წესისა და რიგის ჩვენებით ავტორი ხაზს უსვამს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის კულტურულ აღზრდაში ეროვნულ ტრადიციებს; ლაპარაკობს აგრეთვე მანკიერებებზე, რომლებიც ლახავენ სუფრის გაძღოლის ჩვენს სანაქებო ჩვეულებებს.

ავტორი, როგორც სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი, მაგალითების მოშველიებით განმარტავს ლექტორის პასუხისმგებლობის უდიდეს მნიშვნელობას, ახასიათებს სტუდენტის სანიმუშო ქცევის კულტურას ლექციაზე და საუნივერსიტეტო სივრცეში.

წიგნი გვაფრთხილებს — თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მშობლიური ენის სიწმინდეს, საკუთარ ჯანმრთელობას, დავემშვიდობოთ მავნე ჩვევებს (თამბაქო, ალკოჰოლი) და ყოველივე ამით ავამაღლოთ როგორც საკუთარი, ისე მთელი საზოგადოების ქცევის კულტურა.

**რევაზ კილაძე,**
**პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

● თუ ყველა პედაგოგი, აღმზრდელი საბავშვო ბაღის გამგე ნანა ჯანელიძის მსგავსად თავის ენერგიას, ცოდნას მაქსიმალურად მოახმარს ბავშვებს, მაშინ ჭეშმარიტად წესიერი, ჯანსაღი ახალგაზრდობა გვეყოლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 109. სამშაბათი, 12 ივნისი, 2007 წელი.

◎ თაოზა

# პატარებზე დედასავით მზრუნველი...

ამ დღეებში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის № 90 საბავშვო ბაღში მოვხვდი. შესვლისთანავე ჩემი ყურადღება შენობაში უნაკლო სისუფთავემ მიიპყრო, იქვე კედლებზე გამოფენილი იყო პატარების ხელით შექმნილი ნაირფერი ნაკეთობები. ბავშვები ლაღად გრძნობდნენ თავს და ექვს წლამდე გოგო-ბიჭები გამოსაშვები საღამოსთვის გადიოდნენ რეპეტიციას.



ბაღის გამგე ნანა ჯანელიძე ბავშვებზე დედასავით მზრუნველი და ყურადღებიანია. სწორედ შრომისმოყვარეობითა და უდიდესი ძალისხმევით შეძლო მან ბაღის ფეხზე დაყენება და მისი გამშვენიერება-გალამაზება. როგორც მითხრეს, ვერავინ იფიქრებდა, თუ ეს ძველი, თითქმის დანგრეული შენობა, რამეს დაემსგავსებოდა და ბავშვების საყვარელი ნავსაყუდელი გახდებოდა.

ყველაფერი კი ამ თორმეტი წლის წინათ დაიწყო, როცა საქართველოში მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა იყო. სწორედ ომიანობის დროს ნანა ჯანელიძის ერთადერთი ვაჟი ჰოლანდიაში წავიდა საცხოვრებლად. ძნელი წარმოსადგენი როდია, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ქალბატონი ნანა. თითქოს ცხოვრება აღარ უნდოდა, ერთი ის მოიფიქრა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მაშინდელ გამგებელთან შესულიყო და დახმარება ეთხოვა, როგორმე ისეთი სამუშაო გამოეძებნათ მისთვის, რომ დღედაღამ ემუშავა და შვილის მონატრება და სიყვარული ამით გადაეტანა. გამგებელმა სურვილი შეუსრულა და უთხრა: მე შენ ისეთ დანგრეულ ბაღში გაგიშვებ სამუშაოდ, სადაც ერთი წუთითაც ვერ მოისვენებ და საფიქრალადაც არ გეცლებაო. ნანა ჯანელიძესაც ეს უნდოდა, დღე და ღამეს ასწორებდა, მუშებს მხარში ედგა და ხშირად ფიზიკურადაც მუშაობდა, რომ შენობა შენობას დამსგავსებოდა და ეზოსაც თავისი ელფერი მისცემოდა.

თავწაკრული, სოფლის კარგი ჯანიანი, კოლმეურნეობაში მომუშავე ქალივით შრომობდა, ზოგჯერ დაღლილ-დაქანცულს სახლში წასვლაც აღარ შეეძლო და შენობის ერთ კუთხეში მიდგმულ საწოლში იძინებდა.

მონდომებამ და დაუღალავმა შრომამ თავისი გაიტანა. რამდენიმე თვეში № 90 საბავშვო ბაღს ველარ იცნობდით — ახალი ჭერი, იატაკი, გამაგრებული და შელებილი კედლები, მოწესრიგებული სველი წერტილები, სისუფთავე უკვე ყველას ხიბლავდა... სიყოჩაღეს უწონებდნენ ნანა ჯანელიძეს, — მშობლები ერთსულოვნად ამბობდნენ, ამას ნამდვილად არ ველოდით თუ ეს ბაღი ასე მშვენიერი გახდებოდაო. ამიტომაც იყო, რომ ბავშვთა ნაკადი ყოველწლიურად იზრდებოდა. ქალბატონ ნანას მეტი საზრუნავი გაუჩნდა, თითოეულ ბავშვს თავს დასტრიალებდა, ელოლიავებოდა და ბავშვებში და მშობლებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.



ასეა დღესაც — დიდუბე-ჩუღურეთის № 90-ე საბავშვო ბაღი მართლაც რომ სანიმუშოა. ადრეულ წლებში თუ ბაღში 30-მდე ბავშვი იყო, ახლა 180 აღსაზრდელი ჰყავთ, აქ 3-დან 6-წლამდე ბავშვები დიდი მზრუნველობის ქვეშ იზრდებიან. კარგი საკვები, განახლებული თანამედროვე სათამაშოები მოსწონთ პატარებს. აქ სწავლობენ სიმღერას, ცეკვას, ერთმანეთის სიყვარულსა და უფროსების პატივისცემას, ყოველივე ამის სულისჩამდგმელი კი ნანა მასწავლებელია, თავად მუსიკოსი, რომელმაც თავის დროზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა.

ბაღს ხშირად სტუმრობენ გამოჩენილი მწერლები და პოეტები.

ახლახან საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს დიდუბე-ჩუღურეთის გამგებელი რამაზ სულამანიძე, გამგებლის მოადგილე ზაზა დარასელია, ასევე დარგის კურატორები გამგეობიდან ნანა კანდელაკი, ლია ფაცხაშვილი და სხვები ესტუმრნენ.

როგორც ნანა ჯანელიძემ გვითხრა — დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობაში მომუშავე ეს ადამიანები მუდამ მხარში უდგანან მას, გულთან მიაქვთ საბავშვო ბაღთან დაკავშირებული ყველა საკითხი და სწორედ მათი დახმარებითა და ძალისხმევით ხდება ბევრი პრობლემის გადაჭრა. ისინი ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ № 90-ე საბავშვო ბაღს.

პატარები იმ დღესაც მომხიბვლელი და ლამაზები იყვნენ. ახლა მათ სკოლის მერხები ელოდებიან.

თუ ყველა პედაგოგი, აღმზრდელი საბავშვო ბაღის გამგე ნანა ჯანელიძის მსგავსად თავის ენერგიას, ცოდნას მაქსიმალურად მოახმარს ბავშვებს, მაშინ ჭეშმარიტად წესიერი, ჯანსაღი ახალგაზრდობა გვეყოლება.

**ლალი ძინძლაძე**

ხსოვნა

# ბორის გერგედავა



ქართველ სპელეოლოგთა რიგებს გამოაკლდა ბუნების უნიკალური ფენომენის — მღვიმე-უფსკრულების აღიარებული მკვლევარი, სანიმუშო შვილების აღმზრდელი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, პატიოსნებისა და სინდისის ეტალონი ბორის ალექსანდრეს ძე გერგედავა.

მან ცხოვრების მეტად რთული და კატაკლიზმებით აღსავსე ეკლიანი გზა განვლო. დაიბადა ს. ფახულანში (წალენჯიხის რ-ნი). ბუნების შესწავლის დაუოკებელმა სურვილმა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე მიიყვანა. უმაღლესის დამთავრების შემდეგ ორი წელი მშობლიურ მხარეში — ს. ნაკიფუს საშუალო სკოლაში იმოღვაწა, სადაც ცხოვრებისეული დიდი გამოცდილება შეიძინა, აქვე შექმნა მტკიცე ქართული ოჯახი. 1958 წელს მას იწვევენ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნე მოღვაწეობდა ისეთ რთულ დარგში, როგორიცაა კარსტოლოგია-სპელეოლოგია. მან საველე კვლევები ჩაატარა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. დაუღალავი შრომისა და შემართების შედეგად მან შეძლო ახალი სიტყვა ეთქვა მეცნიერებაში. სწორედ ამ დარგში, ჯერ კიდევ 1968 წელს დაიცვა დისერტაცია — „ოდიშის მღვიმეთა ბუნებრივი პირობების კომპლექსური დახასიათება". მან პირველად გამოიკვლია კავკასიის მღვიმეები კომპლექსური მეთოდით, დაამუშავა მისი მეთოდიკა; დაადასტურა მღვიმეთა კომპლექსის, როგორც განსაკუთრებული გეოგრაფიული ლანდშაფტის გამოყოფის იდეა; განსაზღვრა მღვიმეების ლანდშაფტის საგანი, სტრუქტურა, ამოცანა, შეასრულა მიწისქვეშა ლანდშაფტის ფორმულირება, განსაზღვრა ასეთი კომპლექსის ადგილი დედამიწის ლანდშაფტურ სფეროში, წამოაყენა ახალი შეხედულება კარსტულ მღვიმესა და მის ფორმათწარმოქმნაზე, სიღრუის ევოლუციურ სტადიებზე; დაამუშავა მღვიმეთა გამოყენება-დაცვის პრობლემები, გამოიკვლია მღვიმეთმცოდნეობის კომპლექსური მეტეოროლოგია, მიწისქვეშა ლანდშაფტების თეორია, გააკეთა მღვიმის გენეტური, მორფოლოგიური, კლიმატური, ჰიდროლოგიური კლასიფიკაციები. აღნიშნულ საკითხებს კი ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა, რომლებიც არა მარტო საქართველოშია გამოქვეყნებული, არამედ საზღვარგარეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ხუთი მონოგრაფია და უმაღლესი სასწავლებლის ერთი სახელმძღვანელო. სხვებთან ერთად იგი არის საქვეყნოდ ცნობილი ახალი ათონის მღვიმის პირველი აღმომჩენი, რისთვისაც აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით დააჯილდოვეს (1962 წელი). არის არაერთი მღვიმისა და უფსკრულის დაპყრობის მონაწილე. იგი წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა უმაღლეს სასწავლებლებში, იყო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ზუგდიდის ფილიალის პროფესორი.

აღიარებული მკვლევარის, კოლეგის, მეგობრის, ოჯახის მოამაგის ხსოვნა მუდამ დარჩება, ვინც კი ბორის გერგედავას იცნობდა.

**ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი,**
**ალ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს**
**გეოგრაფიული საზოგადოება,**
**საქართველოს სპელეოლოგთა ეროვნული საზოგადოება,**
**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის**
**აკადემიის ზუგდიდის ფილიალი.**

---



მეუღლე ლარისა, შვილები ეკა, მამუკა, ძმა გურამ ბერია, დები თალიკო, ლამარა, ანელა, ძმისწულები მანანა, ჯამბული, ნონა, ნანა, ნინო, სოსო ბერიები, დისწულები ზალიკო, ზაურ, ზემფირა, ემზარ ჯიქიები, ელგუჯა, ელისო, ელზა კვარაცხელიები, ლოლიტა ფარულავა, სიძე ელგუჯა გვაძაბია, შვილიშვილი გიორგი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები დავტირით

**გონერი იოსების ძე ბერიას**

პანაშვიდი 10,11 VI, დაკრძალვა 12 VI, 15 სთ. მისამართი: მშენებლობის №1.

---

ოთარ ფაცაცია ოჯახით იუწყება

**ვახტანგ გოგუაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შოთა ჯაფარიძე, ნოდარ ემუხვარი გულწრფელად უთანაგრძნობენ ბესო კილასონიას ძმის

**თამაზის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ლია ჩლაიძე, შვილი მანანა ჩიქოვანი, შვილიშვილი ნათია ლომია, შვილთაშვილები სალომე, ლუკა ბაკურაძეები, დისწულები ავთო, მერაბ კობახიძეები, ცოლისძმა თენგიზ ჭუმბურიძე ოჯახებით იუწყებიან



**თეიმურაზ ჩიქოვანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13 VI, 16 სთ. გამოსვენება 14 VI, 14 სთ. მისამართი: ვაჟაფშაველას I კვარტალი, XI კორპუსი, I სადარბაზო, III სართული.

---

უახლოესი ნათესავები მავრა, ცინარა, თამილა, სოსო, ლევან ჩლაიძეები, ელვარა ხარატიშვილი ოჯახებით იუწყებიან

**თეიმურაზ ჩიქოვანის**

გარდაცვალებას.

---

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე ორგანიზაციის გამოგონების, სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშების დეპარტამენტის უფროსს ევა მუსურიძესა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსს დარიკო ჩიტიშვილს დედის

**გალინა გოცირიძე-მუსერიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

---

დედა ლუსია, მეუღლე კარლო კაპანაძე, შვილები კახა, ლალი, ლელა, რძალი ია გელაშვილი, სიძეები ზურიკო იაკობიძე, თემურ კვესაძე, და ზამირა, ძმები ვასია, აბრამი, შვილიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანეტა ბეჟანის ასული კაპანაძე**

პანაშვიდი 12, 13 VI, 16 სთ. მისამართი: ქ. საჩხერე, სოფ. ქორეთი. დაკრძალვა 14 VI, 15 სთ-ზე.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ამავე გაზეთის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ბატონ კახა კაპანაძეს დედის

**ანეტა კაპანაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლია გელაშვილი, ნანი გაფრინდაშვილი, დოდო ბედიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანეტა ბეჟანის ასული კაპანაძე**

და სამძიმარს უცხადებენ კახა კაპანაძეს დედის და ია გელაშვილს დედამთილის გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ვიტალი ყურაშვილი, შვილები ნათელა, ნელი, ბელა, შვილიშვილები შალვა, კახაბერ ქურდიანები, ვატო ქერქაძე, ნიკა, ირაკლი მახათაძეები, სიძეები ვაჟა ქურდიანი, მერაბ მახათაძე, მაზლი ბორის ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან

**აგნესა გურგენიძე-ყურაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 VI, 15 საათზე. ვაჟა ფშაველას პრ. 6.

● გამხდარი არასოდეს ვყოფილვარ და ალბათ უკვე აღარც ვიქნები, ოღონდ ამის გამო ატირებას როდი ვაპირებ. როგორც ამბობენ, მამაკაცები გაჩხინკულებზე არ ფეთდებიან. მთავარია საკუთარ თავთან და ორგანიზმთან ჰარმონიაში ცხოვრობდე და უკიდურესობებში არ ვარდებოდე



ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 109. სამშაბათი, 12 ივნისი, 2007 წელი.

◎ ჩვენებურზე

## „მამაკაცები გაჩხინკულებს არ სწყალობენ“

### თამარ გვერდწითელი ყოველთვის ერთ ფორმაშია



– გამხდარი არასოდეს ვყოფილვარ და ალბათ უკვე აღარც ვიქნები, ოღონდ ამის გამო ატირებას როდი ვაპირებ. როგორც ამბობენ, მამაკაცები გაჩხინკულებზე არ ფეთდებიან. მთავარია საკუთარ თავთან და ორგანიზმთან ჰარმონიაში ცხოვრობდე და უკიდურესობებში არ ვარდებოდე.

ექსტრემალურ დიეტებსა და წონის მკვეთრ ცვლილებებს ჯანმრთელობის სერიოზული შერყევა ძალუძს, თუმცა, არც ყველაფრის ზედიზედ ჭამავარგა. ვცდილობ, ხორცისაგან – ჩვეული კავკასიური საჭმლისგან თავის შეკავებას. ვცდილობ, ხილზე, ბოსტნეულის სალათუნებსა და რაგუზე „მიწოლას“. დილაობით ვვარჯიშობ. აი, სპორტდარბაზში კი დროს არ ვფლანგავ – როიალთან მირჩევნია ყოფნა.

რუსული პრესის მიხედვით



**თბილისის № 13 პოლიკლინიკის ჰომეოპათიური განყოფილება**

მაღალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტები თ. ალაშვილი, თ. ჭანტურია, ი. ზუბაშვილი

მკურნალობენ: ალერგიულ, აუტოიმუნურ და ანთებით დაავადებებს, ტრომბოციტოპენიას, C-ჰეპატიტს, ალკოჰოლურ ციროზს, პროსტატის ანთებას და სხვა პათოლოგიებს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი 28/ ა. ჭავჭავაძის ქ. № 2.

ტელეფონი: 98-64-86;
მობილური: 8-99-55-99-61.


◎ „დრო, დრო აღნიშნე!“

## მეოცე საუკუნის ფოტომატიანეს წარმოგვიდგენს ფოტოჟურნალისტი

## გივი ვახტანგაძე



მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა 1957 წლის მსოფლიო ფესტივალის ნამდვილ მშვენებად იქცა „ქართული ქორწილის“ გამართვა და „სუხიშვილების“ ანსამბლის შესანიშნავი წყვილის სოფიო იაშვილისა და ზურაბ კიკნაველიძის დაქორწინება. და, აი, საქორწინო სუფრა. კადრში ჩანან რასულ გამზათოვი, ლეილა აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი.

◎ კრიმინალი

### იალტაში 15 ქართველი დააკავეს

იალტაში დოკუმენტების შემოწმებისას 15 არალეგალი ქართველი დააკავეს.

მათი დაკავება გასულ კვირას, ღამით, სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთი კაფიდან საქართველოს მოქალაქეების გამოსვლისას მოხდა.

საბუთების შემოწმებისას გაირკვა, რომ ისინი უკრაინის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფებოდნენ.

საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ გასული წლის ნოემბერში იალტაში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი, მეტსახელად „კამო“ დააკავეს.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

◎ კადრი



◎ ინფორმაცია

### ზედგენიძე ტყვეობიდან გაათავისუფლეს

გორის რაიონის სოფელ ფხვენისში მცხოვრები 56 წლის ივანე ზედგენიძე გათავისუფლებულია.

იგი ბოლოა იმ ხუთი მძევლისგან, რომლებიც გასულ კვირას ცხინვალის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენლებმა დააკავეს.

ზედგენიძე მძევლად ექვსი დღის განმავლობაში იმყოფებოდა.

◎ ანეკდოტები

– ქალიშვილო, თუ საიდუმლო არ არის, რა ზომის ბიუსჰალტერს ატარებთ?

– არ გეტყვით. ეს ჩემი პატარა საიდუმლოა!

* * *

სიბერეა, როდესაც სიმპათიური გოგოს დანახვაზე მაღლა იწევს... არტერიული წნევა.

* * *

ქალი, მთლიანობაში, სიწმინდეა! წავალ და, დღეს წმინდა ადგილებში ცოტაოდენს შევცოდავ!

* * *

მაქვს შესაძლებლობა, რომ მყავდეს ფისო, მაგრამ არ მაქვს სურვილი. მაქვს სურვილი, რომ მქონდეს მანქანა, მაგრამ ფისუნია კატეგორიულია: „ჯერ ქურქიო“!



* * *

– ალო, პოლიკლინიკაა?
– დიახ.
– ალკოჰოლიზმს მკურნალობთ?
– დიახ.
– რა ღირს?
– სამი ათასი რუბლი.
– რამდენი?! თქვენ რა, გაგიჟდით?!! ეს ხომ ოცი ბოთლი არაყია!!!


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რუბინშტეინის ხიხ, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ძიზიძის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.